ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების
ფაკულტეტი

კოტე ონიანი

პარტიული პოპულიზმი და პოლიტიკური პროცესი საქართველოში

ნაშრომი შესრულებულია სოციალური და პოლიტიკური
მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პოლიტიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი 2024

ანოტაცია

თანამედროვე სამყაროში პოპულიზმის მზარდი ტენდენციები შეინიშნება, ხალხისა და ელიტების დაპირისპირება არ-ახალია და ის პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პროცესია, თუმცა ამ დაპირისპირების კერძო ინტერესებისათვის გამოყენება დემოკრატიას საფრთხის წინაშე აყენებს, ქართული პოლიტიკური სივრცე, რომელიც მძაფრი პოლარიზაციით, პოპულიზმის განვითარებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

ნაშრომი შეეხება პოპულიზმის, როგორც ცნებისა და პოლიტიკური სამოქმედო გეგმის რაობას. ამავდროულად, ქართული პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოებულ პოპულისტური პოლიტიკას. განხილულია მათი რიტორიკა დროის განსხვავებულ პერიოდში, გაანალიზებულია პარტიებისა და ზოგადად პოპულიზმის ცნების აქტუალურობა მსოფლიოს განსხვავებული რეგიონების მაგალითზე, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ობიექტურად გავაანალიზოთ პოპულიზმის ქართული და უცხოური გამოცდილება. ნაშრომი შემდეგი ჰიპოთეზის ირგვლივ ყალიბდება: პოლიტიკურ სივრცეში არსებული პოლარიზაციის მაღალი დონე, პარტიების მხრიდან პოპულისტური პოლიტიკის გამოყენებას გარდაუვალს ხდის.

ჰიპოთეზის დასადასტურებლად მოყვანილია მაგალითები ქართული რეალობიდან, გამოყენებულია პოპულიზმის შესახებ არსებული ფუნდამენტური ნაშრომები, გამოჩენილი მკვლევარების მოსაზრებები და სიღრმისეული ინტერვიუები პოპულიზმის ქართველ ექსპერტებთან. ყოველივე ჩამოთვლილის გათვალისწინებით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წამყვანი ქართული პოლიტიკური პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა, ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვებას ოპონენტთა დისკრედიტაციის გზით ცდილობს და ამისათვის მთავარ იარაღად პოპულიზმს იყენებს.

სარჩევი

შესავალი…….....…….....…….....…… ...4

საკითხის აქტუალურობა პოლიტიკის მეცნიერებაში 5

კვლევის მიზნები და ამოცანები.....6

ლიტერატურის მიმოხილვა…….....…….…….....8

თავი 1. პოპულიზმის არსი და ძირითადი თეორიები.....11

*1.1 პოპულიზმი დადებით და უარყოფით კონტექსტში.....*15

1.2 *პოპულიზმის ევროპული გამოცდილება.....*17

თავი 2. პოპულიზმის წარმატების მიზეზები საქართველოში.....18

*2.1 პოპულიზმი კულტურულ ჭრილში.....*21

*2.2 პოპულისტები მულტიკულტურული ელიტების წინააღმდეგ.....*22

თავი. 3 პარტიული პოპულიზმი საქართველოში.....23

ქართული ოცნება 25

ნაციონალური მოძრაობა 28

სტრატეგია აღმაშენებელი.....29

ევროპული საქართველო 30

პატრიოტთა ალიანსი.....30

ტრიბუნა.....32

ქართული იდეა.....33

ქართული მარში.....34

კონსერვატიული მოძრაობა.....35

ლეიბორისტული პარტია..... 36

დასკვნა..... 37

ბიბლიოგრაფია..... 38

დანართი.....46

შესავალი

საქართველო საკუთარი პოლიტიკური ისტორიის გარდამტეხ სტადიაზე იმყოფება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული დემოკრატიზაციის პროცესი ჯერ დასრულებისაგან ძალიან შორსაა, თუმცა წინსვლა აშკარად შეინიშნება. საზოგადოების უმრავლესობამ უკვე გაიაზრა, რომ წინსვლის ერთადერთი გზა დასავლური დემოკრატიისაკენ სწრაფვაა და ნებისმიერი დაბრკოლება თუ გზიდან გადახვევა ძველ არადემოკრატიულ/ავტორიტარულ რეჟიმებში დაბრუნებას გვიქადის. ამგვარ მოცემულობაში აუცილებელია ჯანსაღი პოლიტიკური სივრცის არსებობა, პარტიული პლურალიზმი, ჯანსაღი კონკურენცია, ინფორმაციულობის მაღალი ხარისხი, სამოქალაქო თვითშეგნება და პოლიტიკაში მოსახლეობის ჩართულობის მაღალი დონე. სამწუხაროდ ქართული პოლიტიკური სივრცე ვერცერთი ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის დაკმაყოფილებით დაიკვეხნის. განსაკუთრებით მძაფრად კი პარტიული დაპირისპირებები მიმდინარეობს, პარტიების რომლებიც ძალაუფლების მოსაპოვებლად ეთიკური თუ სამართლებრივი ნორმების დარღვევას სრულად არ ერიდებიან. ლოგიკური მსჯელობაა, რომ ძალაუფლების მოპოვებისათვის ნებისმიერ პარტიასა თუ ორგანიზაციას მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა სჭირდება . მხარდაჭერის მოსაპოვებლად კი ყველაზე მარტივი, მრავალნაცადი და უძველესი მეთოდი- პოპულიზმი გამოიყენება. პოპულიზმის მაგალითებს ქართულ პოლიტიკაში მრავლად შევხვდებით. ხალხის ინტერესთა მანიპულირება ხდება როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკური თემებით. პოპულიზმი თითქოს აუცილებლობასაც კი წარმოადგენს ისეთ პოლიტიკურ სივრცეში, სადაც არცერთ აქტიურ და ძლიერ პარტიას კონკრეტული იდეოლოგია არ გააჩნია. ისინი ვერ მოიზიდავენ ამომრჩეველთა ხმებს იმ პრინციპების ერთგულებით რომლებიც არ გააჩნიათ. ამგვარი იდეოლოგიური თავისუფლება კი პოპულიზმისთვის კარგ საფუძველს წარმოადგენს. laclau-ს თქმით, „ე. წ „სიღარიბე“ პოპულისტური სიმბოლოებისა, განაპირობებს მის პოლიტიკურ ეფექტურობას.“ (Mudde. C and Kaltwasser. C. R. 2012. გვ. 154.) ამგვარ იდეურ გაუგებრობაში პარტიებისათვის წარმატების მიღწევის გზა (სრულყოფილ დემოკრატიაში მრავალი გზა არსებობს) და გამოსავალი ამომრჩეველთა ინტერესებით თამაში და იმის შეთავაზებაა რისი მოსმენაც ამომრჩეველს სურს. პოპულიზმის გზით მათ შეუძლიათ გაამართლონ ან მიჩქმალონ მათ

მიერ დაშვებული შეცდომები. ამგვარად პოპულიზმი არა მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდების გზაა, არამედ მისი შენარჩუნებისაც. მისი დახმარებით შესაძლებელია შენარჩუნდეს არსებული რეჟიმის სტაბილურობა და განისაზღვროს პოლიტიკური თამაშის ახალი წესები რომლებიც ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის არაჯანსაღ ურთიერთობას ჩამოაყალიბებს.

საკითხის აქტუალურობა პოლიტიკის მეცნიერებაში

პოლიტიკურ მეცნიერებაში პოპულიზმი ეს არის არსებული ელიტებისა და ესტაბლიშმენტის საწინააღმდეგო იდეოლოგია და პოლიტიკური სტრატეგია. „პოპულიზმი როგორც იდეოლოგია ფოკუსირდება მოსახლეობის ღარიბ ფენებსა და კორუმპირებულ ელიტას შორის დაპირისპირებაზე“.(Guasti p. Bustikova L. Populism 2020). „ პოპულიზმი როგორც პოლიტიკური სტრატეგია კი ფოკუსირდება მის პოპულისტურ აგენდაზე ან შესაძლებლობებზე, რათა მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი, შექმნას ან შეინარჩუნოს პირდაპირი კავშირი ლიდერსა და მის მხარდამჭერებს შორის და მოახდინოს არსებული ინსტიტუციური სისუსტეების საკუთარი სარგებლობისთვის გამოყენება. „პოპულისტები ესტაბლიშმენტსა და ელიტებს სელექციურად უპირისპირდებიან. ისინი თავადაც შესაძლოა გახდნენ ელიტა და ამავდროულად ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განაგრძონ მათი მოწინააღმდეგე ელიტების საწინააღმდეგო რიტორიკა, მაშინ როცა თავად იმ არსებული პოლიტიკური ესტაბლიშმენტის ნაწილნი არიან რომელსაც ასე მიზანმიმართულად უტევდნენ არც ისე დიდი ხნის წინ“(Guasti p, Bustikova L). თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკის მეცნიერები პოპულიზმის საკითხით განსაკუთრებულად მაშინ დაინტერესდნენ როცა დასავლური სამყაროს წამყვან ქვეყნებში პოპულისტურმა პარტიებმა დიდ ელექტორატულ წარმატებას მიაღწიეს და მათი გავლენის სფერო და არეალიც საკმაოდ გაიზარდა. იმდენად, რომ ბევრის აზრით იგი თანამედროვე დემოკრატიებსა და ადამიანის უფლებების ნორმალურად არსებობის საკითხს საფრთხის ქვეშ აყენებს. ადამიანის უფლებების არსებობის ერთ ერთი მიზანი ისიცაა, რომ ხელისუფლების ძალაუფლება შეზღუდოს. პოპულისტებს კი სურთ როლები შეატრიალონ. მათი რიტორიკა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხალხის სახელით საუბრობენ და ისინი არიან ერთადერთი ძალა რომელთაც ამა თუ იმ პრობლემების მოგვარება შეუძლიათ.

კვლევის მიზანი და ამოცანები

მიზანი

პირველ რიგში, კვლევის მიზანია სწორად განსაზღვროს პოპულიზმის ცნება, ჩამოაყალიბოს მისი დადებითი თუ უარყოფითი სახეები და ახსნას მათი კავშირი ქართულ პოლიტიკურ რეალობასთან. შემდეგ, ერთი მხრივ, მან უნდა განიხილოს პარტიული პოპულიზმი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, შეაფასოს თითოეული მოწინავე პარტიის რიტორიკა და მეთოდები რომელსაც ისინი საზოგადოებასთან კავშირისათვის და რაც მთავარია მხარდამჭერთა რაოდენობის ზრდისთვის იყენებენ. მეორე მხრივ, კი შეაფასოს არსებული პოლარიზაციისა და პოპულიზმის ურთიერთდამოკიდებულება. მიზნის მისაღწევად აუცილებელი იქნება ჩვენი უახლესი ისტორიის საფუძველზე შევისწავლოთ ქართული პოლიტიკური პარტიები და მათი ქმედებები. ამავდროულად ქართული საზოგადოების განათლების, პოლიტიკური კულტურის, კულტურული თავისებურებების ანგარიშგაწევით დავადგინოთ ურთიერთკავშირი პოპულიზმისა და მისი წარმატებულობის ზრდასთან საქართველოში.

ამოცანები

ნაშრომის ამოცანა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, იქნება

ა)ქართული პარტიული პოპულიზმის კვლევა და ახსნა იმისა თუ რა გავლენა აქვს მას პოლიტიკურ პროცესებზე საქართველოში.

ბ) დავადგინო ურთიერთკავშირი ქართული პოლიტიკური პროცესებსა და პარტიულ პოპულიზმს შორის

საკვლევი კითხვა

ვინაიდან კვლევის მიზანი და ამოცანა პოპულიზმის კვლევა და პოლიტიკურ პროცესებზე მისი გავლენების დონის დადგენაა საკვლევი კითხვა შემდეგ ფორმულირებას მიიღებს: რა როლს ასრულებს პოპულიზმი ქართულ პოლიტიკურ პროცესში?

ჰიპოთეზა

პოპულიზმი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების წარმმართველი მთავარი ძალაა

საყრდენი თეორია

ლიბერალური კონსტიტუციონალიზმი საფრთხის ქვეშაა მას შემდეგ რაც პოლიტიკურ არენაზე ავტოკრატების ახალი ტიპი გამოჩნდა რომლებსაც ხშირად პოპულისტებსაც უწოდებენ. პოპულისტებს კარგად ესმით საკონსტიტუციო ლიბერალიზმის სისუსტეები და ცდილობენ ამ სისუსტეების გამოყენებით თავს დაესხან მათ ოპონენტებს. ღრმა ანალიზმა შესაძლოა დაადასტუროს ფაქტი, რომ დღევანდელი პოპულისტები შორს არიან პოპულიზმის როგორც დადებითი ცნების პრინციპებიდან. ამის საპირისპიროდ მათ მიატოვეს ლიბერალური ღირებულებები და მიზნად ძალაუფლებისაკენ სწრაფვა დაისახეს. ევროპელი პოპულისტი ლიდერების(მაგ. ვიქტორ ორბანის) პოლიტიკის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი რეალური პოპულიზმი მაშინვე კვდება როგორც კი ისინი არჩევნებში გაიმარჯვებენ ან რაიმე ძალაუფლების ბერკეტებს იგდებენ ხელთ. საქართველოში პოლიტიკური პარტიების უმეტესობა პოპულიზმს იმავე დანიშნულებით იყენებს. არიან ისინი მთავრობის წარმომადგენლები თუ ოპოზიციის წევრები-მათი რიტორიკა ოპორტუნიზმზეა დაფუძნებული და მორგებულია კონკრეტული მომენტისათვის საჭირო გარემოებებს. ქართული რეალობიდან გამომდინარე კი, სადაც დემოკრატიის დონე არც ისე სახარბიელოა, პოპულიზმი პოლიტიკური პროცესების მთავარი წარმმართველი ძალაა.

მეთოდები

ვინაიდან რაოდენობრივი კვლევის ჩატარება, განსაკუთრებით იმ საკითხზე რომელზეც მე ვმუშაობ, საკმაოდ დიდ რესურსებსა და დროს მოითხოვს, ნაშრომში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის კვლევისა და დასაბუთებისათვის გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევა და მისი მეთოდები. თვისებრივი კვლევა საშუალებას მომცემს უფრო

ღრმად გავიაზრო იმ ზემოქმედების კვალი რომელიც პოპულიზმს გააჩნია პოლიტიკური პროცესების წარმართვაზე. პირველ რიგში, გამოყენებული იქნება მეორადი წყაროების ანალიზის მეთოდი რომლის დროსაც მოვიძიებ და შევისწავლი საკვლევ თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურას, წარმოდგენილი იქნება რამდენიმე კონკრეტული მაგალითი მაგ. ევროპის რომელიმე ქვეყნის შიდა პოლიტიკა და მასზე პოპულიზმის გავლენა , ამ ყველაფრის კი ქართულ გამოცდილებასთან დაკავშირება. საკითხის კვლევის ერთ-ერთი მეთოდი იქნება სიღრმისეული, ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუების ჩატარება პოპულიზმის ქართველ ექსპერტებთან.

ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის შესწავლის პროცესში პოპულიზმი განხილული იქნება თავისი სრული მნიშვნელობით. იმისათვის, რომ კვლევამ საკითხის ღრმად გაანალიზება შეძლოს , საჭიროა პოპულიზმის ცნების სრულყოფილად გააზრება, მისი დადებითი თუ უარყოფითი გავლენების გათვალისწინებით.

ჯორდან კაილისა და ლიმორ გალჩინის ნაშრომი „პოპულიზმი ძალაუფლების სათავეებთან მსოფლიოს გარშემო“ გვთავაზობს მოსაზრებას, რომ პოპულიზმი დრამატულად გარდაქმნის თანამედროვე გლობალურ პოლიტიკას , ამ ნაშრომში შეჯამებულია ლიტერატურა რომელიც ხსნის პოპულიზმის ფენომენს და მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. აქ წარმოდგენილია ახალი მონაცემთა ბაზა პოპულიზმის ძალაუფლების ზრდის შესახებ 1990-2018 წლებში. მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგინდება პოპულიზმის გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები.

უკანასკნელი წლების უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა მოვლენებმა-დონალდ ტრამპის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებამ, ბრექსტის პროცესმა, იტალიის 5 ვარსკვლავიანი მოძრაობის ელექტორატულმა წარმატებამ, ბრაზილიის პრეზიდენტად ჟაირ ბოლსონაროს არჩევამ და შესაბამისად მემარჯვენე იდეოლოგიისაკენ გადახრამ, ევროპული პოპულისტური პარტიების მხარდამჭერთა რაოდენობის გაორმაგებამ, პოპულიზმის ცნება აკადემიური ჟურნალებიდან გამოიყვანა და მას ახალი სიცოცხლე შთაბერა. (Kyle. J , Gultchin. L . 2018)

ნაშრომის მიზანია სისტემურად ჩამოაყალიბოს პოპულისტური ქმედებების გავლენა პოლიტიკაზე, ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე. ასევე გაიაზროს მისი ეფექტურობის, მიმზიდველობის მიზეზები. ნაშრომის მიხედვით პოპულიზმის წარმოქმნის მიზეზი სერიოზული და ლეგიტიმური უკმაყოფილებაა არსებული პოლიტიკური ინსტიტუტების აქტივობებისა და პოლიტიკური რეპრეზენტაციის მიმართ. ამრიგად თემის შესწავლა არავითარ შემთხვევაში დაფუძნებული არ იქნება მაინცა და მაინც ცუდი ლიდერების შესწავლაზე. პირიქით, ნაშრომში ხაზგასმულია, რომ პოპულიზმის მიმზიდველობა განპირობებულია მოქალაქეების გულწრფელი უკმაყოფილებითა და წამყვანი პარტიების უსუსურობით გაუმკლავდნენ არსებულ პრობლემებს, ინსტიტუციების უსუსურობით დააკმაყოფილონ მოქალაქეთა მოთხოვნები. პოპულიზმი შესაძლოა აღმოცენდეს ეკონომიკური კრახის კონტექსტშიც, როდესაც ეკონომიკის სწრაფი ზრდისათვის აუცილებელია ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია.

მასედო და მანსბრიჯი თავიანთ ნაშრომში „პოპულიზმი და დემოკრატიის თეორია“ შემდეგ მსჯელობებს გვთავაზობენ- ხშირად პოპულიზმი განიხილება როგორც საფრთხე იმ დამოუკიდებელი ინსტიტუტებისათვის რომელთა არსებობაც აუცილებელია ნორმალურად ფუნქციონირებადი დემოკრატიებისათვის. თუმცა ხშირ შემთხვევაში, მაშინ როცა პოპულიზმი პოლიტიკურ არენაზე გამოდის, ისეთი ინსტიტუციები როგორებიცაა-მედია, სასამართლო თუ დამოუკიდებელი სამთავრობო სააგენტოები უკვე დიდი ხანია გამართულად აღარ ფუნქციონირებენ და ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. (Mansbridge. J , Macedo. S. 2019).

ნაშრომში გაანალიზებულია პოპულიზმისა და დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულება . პირველ რიგში ისინი წარმოთქვამენ მოსაზრებას, რომ პოპულიზმის ძირითადი ელემენტები, ხალხისა და ელიტების დაპირისპირება, ხშირ შემთხვევაში სასარგებლოა დემოკრატიებისათვის რადგან ის ჩვეულებრივ მოქალაქეებს აძლევს საშუალებას დაუპირისპირდნენ ელიტის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დომინირებას. ამავდროულად გვაფრთხილებენ, რომ მორალურ ანტაგონიზმს რომელსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული პოპულიზმის ძირითად ელემენტებში, პოტენციურად საფრთხის შემცველნი არიან დემოკრატიული

თანასწორობის შენარჩუნების კუთხით. ამგვარი ანტაგონიზმი ასევე ხელს უშლის მოლაპარაკებისა და კომპრომისების პროცესებს.

ნაშრომში განიხილება განსხვავებები ოპოზიციურ და პოზიციურ პოპულიზმს შორის. ოპოზიციური პოპულიზმი ხშირად გამოაცოცხლებს ხოლმე დემოკრატიის ძირითად თვისებებს და უპირისპირდება ელიტების ჰეგემონიას, ყურადღების ცენტრში აქცევს იმ საკითხებს რომელთაც აქამდე ყურადღება განძრახ არ ექცეოდა. მეორე მხრივ , პოპულიზმი როცა მას ხელისუფლება იყენებს დემოკრატიას საფრთხეს უქმნის. იგივე მორალური უპირატესობის გრძნობა და ჩვენ/თქვენ დიქოტომია რომელიც არსებული სისტემის ნაკლოვანებებს ააშკარავებს, სახეს იცვლის და ახლა უკვე განეწყობა წინააღმდეგ ისეთი ღირებულებებისა როგორებიცაა-პატივისცემა, ტოლერანტობა, მოლაპარაკება და კომპრომისი-მაშინ როცა ძალაუფლებას ხელთ პოპულისტები იგდებენ.

Schimpf H. C და Huber A . R-ის ნაშრომი „მეგობარი თუ მტერი, პოპულიზმის გავლენის ტესტირება დემოკრატიის ხარისხზე ლათინური ამერიკის ქვეყნებში“ ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითზე შეისწავლის პოპულიზმის გავლენას დემოკრატიის ხარისხზე. აყალიბებს შეკითხვას-პოპულიზმი როგორც მეგობარი თუ მტერი?. პირველ რიგში ერთმანეთისგან განარჩევს სამთავრობო და ოპოზიციურ პოპულისტურ აქტორებს. ერთი მხრივ ამტკიცებს, რომ პოპულიზმის ნეგატიური ეფექტები მაშინ ვლინდება როდესაც მას ხელისუფლება იყენებს, ემსახურება საკუთარ ინტერესებს, არ ითვალისწინებს უმცირესობებსა და აცხადებს რომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის რათა დისფუნქციური ინსტიტუტების პრობლება აღმოფხვრას. მეორე მხრივ, პოპულიზმის დადებითი ზეგავლენა თავს იჩენს მაშინ როდესაც მას ოპოზიციონერები იყენებენ, ხელს უწყობენ პლურალიზმის, უმცირესობების ინკლუზიურობასა და დემოკრატიული პრინციპების აღდგენას. ნაშრომში მოცემული მოსაზრებები დაფუძნებული იქნება 18 ლათინო-ამერიკული ქვეყნის შესწავლის შედეგად 1995-2009 წლებში მიღებული მონაცემების საფუძველზე. (Huber. A. R. Schimpf H. C. 2016)

თავი 1. პოპულიზმის არსი და ძირითადი თეორიები

ხსენებული ავტორები. ჯორდან კაილი და ლიმორ გალჩინი შემდეგ იდეებს გვთავაზობენ-მიუხედავ იმისა, რომ მათი აზრით პოპულიზმს არ გააჩნია რაიმე ეკონომიკური თუ სოციალური დოქტრინა, მას მაინც აქვს საკუთარი, შიდა ლოგიკა და ორი მთავარი დამახასიათებელი თვისება. პირველი - იგი მიიჩნევს, რომ ხალხი ჩართულია კონფლიქტში outsider პირებთან და მეორე- იგი ამტკიცებს, რომ ვერავინ და ვერაფერმა უნდა შეზღუდოს ხალხის ნება. პირველ თვისებას რომ დავუბრუნდეთ, რას გულისხმობენ ავტორები როდესაც საზოგადოებას ხალხად და აუტსაიდერებად ყოფენ. ხალხი მათთან ხასიათდება როგორც მორალურად სწორი, მშრომელი, ლოგიკურად მოაზროვნე, ოჯახზე ორიენტირებული და საზოგადოებისათვის სარგებლის მომტანი ფენა. ამის საპირისპიროდ, აუტსაიდერები განსაზღვრულია როგორც ადამიანები რომლებიც არ ეკუთვნიან მშრომელი და მორალური, ნამდვილი ხალხის ფენას. მრავალი კვლევა პოპულიზმს ხალხისა და ელიტების დაპირისპირებად მიიჩნევს თუმცა აქ ტერმინის განსაზღვრებას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ავტორების აზრით პოპულიზმი შესაძლოა კონფლიქტს აღვივებდეს არა მხოლოდ ხალხსა და ელიტას შორის არამედ ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფს შორის. ავტორთა აზრით, პოპულისტები სოციალურ დაყოფას კრიზისებზე რიტორიკით ადრამატიზირებენ. პირველ რიგში ისინი გამოყოფენ რომელიმე აშკარა წარუმატებლობას, ეს შეიძლება იყოს მაგალითად იმიგრაციით გამოწვეული საფრთხეები ან არასწორი ნარკოპოლიტიკის შედეგები , შემდეგ კი ისინი ორ ან მეტ პოლიტიკურ წარუმატებლობას ერთმანეთთან იმგვარად აკავშირებენ, რომ ყოველივე სისტემურ პრობლემად წარმოჩინდება. მაგ. პოპულისტებმა შეიძლება ელიტების მიერ მოუგვარებელი იმიგრაციული საკითხი დაუკავშირონ მათ უყურადღებობას კრიმინალის დონის ზრდით გამოწვეული საზოგადოებრივი შიშის შესახებ. ამგვარად, კრიზისი უფრო ფართომასშტაბიანად და სასწრაფოდ გადასაჭრელად წარმოჩნდება. როგორც კი პოპულისტები ნამდვილი ხალხისა და აუტსაიდერების იდენტიფიცირებას მოახდენენ, დაიწყებენ მტკიცებას, რომ არავინ და არაფერმა უნდა შეზღუდოს ნამდვილი ხალხის ნება. ეს მტკიცება კი ბაზისია იმ განცხადებებისა, რომ კრიზისებიდან სახელმწიფოს გამოყვანა მხოლოდ ძლიერ მმართველებს ან ძლიერ ლიდერს შეუძლია. ავტორები ასევე საუბრობენ პოპულიზმის განსხვავებულ სახეებზე.

არსებობს კულტურული პოპულიზმის- გულისხმობს იმას, რომ ნამდვილ ხალხს მხოლოდ ადგილობრივი ინდივიდები მიეკუთვნებიან, ისინი ვისი ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური იდენტობაც მსგავსია. ამ შემთხვევაში აუტსაიდერებად მიიჩნევიან ის პოლიტიკოსები ან პოლიტიკური პარტიები რომლებიც მხარს უჭერენ იმიგრაციულ პოლიტიკას. სოციო-ეკონომიკური პოპულიზმი ამტკიცებს რომ კონფლიქტების მიზეზი ეკონომიკურ კლასთა შორის დაპირისპირებაა და მუშათა კლასის ინტერესებით აპელირებს. ანტი-ისტებლიშმენტის ტიპის პოპულიზმი მთავარ კონფლიქტს ხალხსა და პოლიტიკურ ელიტას შორის ხედავს, განურჩევლად იმისა თუ რა სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული შემადგენლობისაა ეს ელიტა. თითოეული მათგანის შესასწავლად და ღრმად გასაანალიზებლად ავტორებმა 33 ქვეყნის პოპულისტი ლიდერი და მათი რეჟიმი შეისწავლეს(მხოლოდ ის ლიდერები რომელთაც მიაღწიეს პრეზიდენტობას ან პრემიერობას). მთლიანობაში დადგინდა, რომ 1990 წლებიდან ჩატარებულ კვლევამდე 33 ქვეყანაში სულ 46 ამგვარი ლიდერი არსებობდა. პიკი კი 2010 -14 წლები აღმოჩნდა როდესაც შესწავლილ ქვეყნებში ერთდროულად 20 პოპულისტი ლიდერი მმართველობდა. განსაკუთრებულ წარმატებას კი კულტურულმა პოპულიზმმა მიაღწია რომელსაც მინიმუმ სამი ფორმა აქვს: 1. ნეიტივისტური-ახასიათებს მძაფრი შოვინიზმი, მისი მიმდევრები აცხადებენ რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი რესურსი ერთდროულად დაეხმაროს ადგილობრივებსაც და უცხოელებსაც, შესაბამისად იგი იძულებულია არჩევანი ადგილობრივების სასარგებლოდ გააკეთოს. 2. მაჟორიტარიანიზმი-იდეა რომ ამომრჩეველთა ხმების 51%-ის მოპოვების შემთხვევაში, გამარჯვებული აბსოლუტურ ლეგიტიმაციას იღებს საფრთხის შემცველია მცირე ეთნიკური ჯგუფებისათვის, რადგან ეთნოსი რომელიც ძალაუფლების სათავეშია უფრო მეტი ძალით შეეცდება მათ შევიწროვებას. 3. კანონითა და წესრიგით აპელირება- ამ შემთხვევაში ყველა აუტსაიდერი კრიმინალი და წესრიგის დამრღვევია რაც იმ მოქალაქეთა ცნობიერებაში რომელთაც მშვიდად ცხოვრება სურთ, შიშს იწვევს. (Kyle. J , Gultchin. L . 2018)

საბოლოოდ, ნაშრომი ასკვნის, რომ პოპულიზმი გლობალური მასშტაბით ძლიერდება, განსაკუთრებული წარმატებით კი კულტურული პოპულიზმი ხასიათდება. რა გავლენას იქონიებს ეს ყოველივე თანამედროვე კულტურაზე, პოლიტიკასა და

ეკონომიკაზე? ერთი მხრივ, მრავალი პოპულისტი საკუთარ ძალაუფლებას დემოკრატიული ნორმებისა და ინსტიტუტების დასასუსტებლად იყენებს, მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში პოპულიზმი ეკონომიკური წარმატების მიზეზიც გამხდარა ყოველ შემთხვევაში ბაზარი ჯერ ჯერობით არ გამოირჩევა პოპულიზმის საწინააღმდეგო ნაბიჯებით. მთლიანობაში პოპულიზმი იშვიათად თუ აღმოცენდება ხოლმე ჯანსაღ პოლიტიკურ სისტემებში. მსოფლიო მასშტაბით, იგი ეფუძნება არსებული სტატუს ქვოს წინააღმდეგ აჯანყებას, რადგან არსებული სისტემა ფუნდამენტურად წარუმატებლად მიაჩნია მოქალაქეთა ინტერესების დაკმაყოფილების კუთხით. (Kyle. J , Gultchin. L . 2018)

კაილისა და გალჩინის დასკვნები კულტურული პოპულიზმის აღმავლობის შესახებ, შესაძლოა სწორი აღმოჩნდეს იმ ევროპული ქვეყნების შემთხვევაში რომელნიც მასიური იმიგრაციული პრობლემების წინაშე დგანან ან მძაფრი შიდა ეთნიკური კონფლიქტები ახასიათებთ. მაგრამ რამდენად შეესაბამება ის ქართულ რეალობას, სადაც მასიური მიგრაციული პროცესები ან რაიმე სერიოზული ეთნიკური დაპირისპირება არ მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში, იქნება კი თუნდაც ნეიტივისტური პოპულიზმის აღზევების საფრთხე? ქართული პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ ორი: პატრიოტთა ალიანსი და ახლად შექმნილი კონსერვატიული მოძრაობა ინტერესდებოდნენ მიგრაციული და ეთნიკური საკითხებით, ცდილობდნენ რა საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას. პატრიოტთა ალიანსი არაერთხელ გამოვიდა ინიციატივით მიწის გასხვისების კანონის შესახებ, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გასხვისება აკრძალული უნდა ყოფილიყო. ასევე აპროტესტებდნენ უცხოელებისათვის მოქალაქეობის და საკუთრების მინიჭების მარტივ წესებს. შეგვიძლია მათი ამგვარი განცხადებები კულტურული პოპულიზმის, კერძოდ ნეიტივისტური პოპულიზმის ჭრილში გავიაზროთ.

კაილისა და გალჩინის მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპა და პოსტ-სოვიეტური ევრაზია დიდი ხნის განმავლობაში იყო პოპულისტი ლიდერების ციხესიმაგრე. პოპულისტებს ძალაუფლება ჰქონდა 8 ქვეყანაში: ბელორუსი, ბულგარეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუსეთი, სერბეთი და ხორვატია არა უპირატესად კულტურული, არამედ სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორებითაც იყო განპირობებული. კულტურული პოპულიზმის მაგალითად კონკრეტული ქვეყნების პარტიების განხილვა

უფრო შესაფერისი იქნება მაგ. ისეთი პარტიებით როგორიცაა მაგალითად Fidesz უნგრეთში და Law and Justice პოლონეთში. პოლიტ მეცნიერი ბენ სტენლის აზრით ამას შემდეგი მიზეზები განაპირობებს. პირველ რიგში რეგიონში მომხდარი დემოკრატიაზე ტრანზიციის პროცესი ელიტების მიერ იყო განხორციელებული. ერთი მხრივ, ერთპარტიული სისტემების კოლაფსმა ისტორიული კონფლიქტები გამოაღვიძა, რომელთა ექსპლუატირება პოპულისტებს წარმატებით შეეძლოთ. მეორე მხრივ კი მრავალწლიანმა ერთპარტიულმა სისტემამ ისტაბლიშმენტისადმი აგრესია და უნდობლობა განაპირობა რასაც ასევე წარმატებით იყენებდნენ პოპულისტი აქტორები.

შემდეგი ავტორების, მასედოსა და მანსბრიჯის მტკიცებით, ანტაგონიზმი რომელიც პოპულიზმის საფუძველშია ჩაშენებული შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს დემოკრატიისათვის. ის ასუსტებს ტოლერანტულობასა და ინკლუზიას, აქვს პოტენციალი შექმნას უთანასწორობა პოლიტიკურ სცენაზე, რაც მიუღებელია პლურალისტური დემოკრატიისათვის. ელიტების უარყოფამ შესაძლოა მიიღოს ისეთი ხასიათი როდესაც მოსახლეობა უარყოფს პრობლემების გადაჭრის კომპლექსურ მეთოდებს რომელთა მოგვარებისთვისაც ელიტას შანსი უნდა მიეცეს. დემოკრატიისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს კი წარმოადგენს პრინციპი, რომ ხალხმა „იცის“. ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ საერთო სიკეთის მიღწევის გზა აშკარაა, ეს მარტივად გამოსახატია და პრაქტიკაში მხოლოდ იმიტომ ვერ ხორციელდება, რომ ამას ელიტები უშლიან ხელს. ამის მოსაგვარებლად კი საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ხალხის ნება და სიბრძნე რომელსაც პრაქტიკაში ძლიერი ლიდერი განახორციელებს. ამგვარი მიდგომას კონცეპტუალური მსგავსებები ფაშიზმთანაც კი აქვს.

მეორე მხრივ, ავტორებს მიაჩნიათ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პოპულიზმი შესაძლოა სასარგებლო იყოს დემოკრატიული პროცესებისათვის როდესაც მას ოპოზიცია და არა პოზიცია იყენებს. ამის მაგალითად კი პოპულისტების ეკონომიკურ ელიტასთან ურთიერთობა მოჰყავთ, როდესაც პოზიციაში მყოფ პოპულისტებს არ აქვთ საკმარისი ბერკეტები ეკონომიკური ელიტასთან დაპირისპირებისათვის და ამის გამო მათი დემოკრატიული განვითარების მიზნები ვერ ხორციელდება. მაშინ როდესაც

ოპოზიციაში მყოფ პოპულისტებს აქვთ წინასწარი მოსამზადებელი დრო და ნაკლები ზეწოლა ამომრჩეველთა მხრიდან, რათა ხსენებულ პრობლემას გაუმკლავდნენ. (Mansbridge. J , Macedo. S. 2019).

1.1 პოპულიზმი დადებით და უარყოფით კონტექსტში

Huber და Schimpf გამოყოფენ პოპულიზმის ორგვარ მიდგომას. მათი ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს ის იდეა, რომ პოპულიზმი შესაძლოა დადებითი შედეგების მომტანი აღმოჩნდეს მაშინ როცა მას ოპოზიცია იყენებს და საპირისპირო შედეგის მომტანი როდესაც იგი ხელისუფლების ხელშია. პირველ შემთხვევაში, ანუ მაშინ როდესაც პოპულისტები ოპოზიციაში არიან, მათ შესაძლოა საზოგადოებრივი ჯგუფების გამაერთიანებლის როლი შეასრულონ. პირველ რიგში, მათ აქვთ ინიციატივა და სურვილი, რომ პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვონ, ამისათვის კი მათ მასების მობილიზაცია სჭირდებათ. მობილიზაციისათვის აუცილებელია რეალური პრობლემის დღის წესრიგში დაყენება და მის ირგვლივ პოლიტიკური აქტივობის წამოწყება. აზრის დასადასტურებლად ევო მორალესის, ბოლივიის სოციალიზმის მოძრაობის(MAS) ლიდერის მაგალითი მოჰყავთ, რომლმაც გადაწყვიტა ადგილობრივი indigenous american-ების უფლებები დაეცვა. მან ჯერ კიდევ მორაესის არჩევამდე წამოიწყო აქტიური კამპანია და წარმატებაც მოიპოვა. ეს ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ ამ კონტექსტში, პოპულიზმს გააჩნია პოტენციალი მოახდინოს მარგინალური ან არა რეპრეზენტული ჯგუფების კონსოლიდაცია და მათი ინტერესების გატარება. (Huber. A. R. Schimpf H. C. 2016)

რაც შეეხებათ პოპულისტებს ხელისუფლებაში, ავტორების აზრით, პოზიციაში ყოფნის დროს მათ აქვთ მიდრეკილება, ძალაუფლება საკუთარი რეჟიმის შესანარჩუნებლად და გასამყარებლად გამოიყენონ. ისინი ხშირად აცხადებენ, რომ სრული სახალხო ლეგიტიმაციის პირობებში მათ შეუძლიათ ამა თუ იმ კრიზისის ერთპიროვნულად მოგვარება. უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში კი მათ უკვე აქვთ ლეგიტიმური უფლება ცვლილებები შეიტანონ სახელმწიფოს კონსტიტუციაში და ის საკუთარ ინტერესებს მოარგონ. მაგალითად კი ჩავესის ვენესუელა მოჰყავთ. მას შემდეგ,

რაც ჩავესმა კონკრეტული მედია საშუალებების მხრიდან ოპოზიციური განწყობილება იგრძნო, განსაკუთრებით კი მათი მხრიდან ვინც 2002 წელს მის წინააღმდეგ რევოლუციას უჭერდნენ მხარს, მან რამდენიმე კანონი შემოიღო. მათ შორის, სოციალური პასუხისმგებლობის აქტი რაც მჭიდროდ ზღუდავდა სატელევიზიო პროგრამებისა და რადიოს საქმიანობას. მათ აღარ ეძლეოდათ საშუალება სრულყოფილად გაეკრიტიკებინათ არსებული რეჟიმი.. (Huber. A. R. Schimpf H. C. 2016)

ქართულ რეალობაშიც შესაძლებელია პარტიული პოპულიზმის დადებით მხარეზე ვისაუბროთ, თუმცა რამდენად არის ეს დადებითი მხარეები მომგებიანი გრძელვადიან პერსპექტივაში, რთული სათქმელია. მაგალითად. ყველასათვის ცნობილი „ გავრილოვის ღამე“ მოვიყვანოთ. 2019 წლის 20 ივნისი, რუსეთის დუმის დეპუტატი, სერგეი გავრილოვი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამს იკავებს და სესიას რუსულ ენაზე აგრძელებს. ქართველი საზოგადოებისათვის ეს გაუგონარი შეურაცყოფა იყო რომელიც სააშკარაოზე“ ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოიტანა. ასევე „ნაციონალური მოძრაობა“ იყო ის ვინც ხალხის მობილიზება მოახდინა და მასიურ საპროტესტო აქციას ორგანიზება გაუწია. თუმცა ლეგიტიმური პროტესტი, თავმჯდომარის გადადგომის მოთხოვნები მალევე გადაიზარდა ხელისუფლების გადადგომის, პარლამენტში შეჭრის, ძალადობრივი მეთოდების გამოყენებისკენ მოწოდებებში და ამ შემთხვევაშიც მოქმედებათა ავანგარდში „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები აღმოჩდნენ. რამდენად იყო მათი პირველი აღშფოთება გულწრფელი თუ მათ პოლიტიკურ მიზანს ხელისუფლების მყისიერი შეცვლა წარმოადგენდა? ჩემი აზრით მოყვანილი მაგალითი კარგად ასახავს მომენტს როდესაც პოპულიზმმა მიმდინარე პროცესები სრულად წარმართა. შესაძლოა ის დადებითი იყო მოქმედებათა პირველ ნაწილში, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში რამდენადმე ტრაგიკულად დასრულდა.

რაც შეეხება პარტიულ პოპულიზმს ხელისუფლების მხრიდან, ისინი ზუსტად იმეორებენ კაილისა და ლიმორის მიერ აღწერილ საზოგადოების ორ ნაწილად დაყოფის პრინციპს. დაყოფა როგორც „ჩვენ“ და „ისინი“ , ნამდვილი ხალხი და აუტსაიდერები. პარტია „ქართული ოცნება“ გამუდმებით აპელირებს „ნაციონალური მოძრაობის წარსულით“ და მათ პოლიტიკურ აუტსაიდერებად წარმოაჩენს. მათი არგუმენტები თუნდაც გამართლებული იყოს, ეს არ ცვლის ფაქტს, რომ მოწინააღმდეგის

„გასაშავებელად“ და ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამუდმებული პოპულიზმი მუშაობს. ხდება ნებისმიერი ოპონენტის დემონიზება და მისგან მტრის ხატის შექმნა. სამწუხაროდ ოპოზიციაც იმავე ტაქტიკას მიმართავს).

1.2 პოპულიზმის ევროპული გამოცდილება

ევროპის კონტინენტზე არსებული პოპულიზმის ხსენებისას, პირველ რიგში უნგრეთისა და ვიქტორ ორბანის მაგალითები მოჰყავთ, რაც სავსებით ლოგიკურია. ვიქტორ ორბანი უნგრეთის პრემიერი 2010 წელს გახდა. მას შემდეგ რაც არჩევნებში გაიმარჯვა და პარლამენტში მანდატების უმეტესობა, 2 მესამედი მოიპოვა. ორბანმა მალევე დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია სადაც საგრძნობლად იყო შეზღუდული პრესისა და სასამართლო სისტემის უფლებები. მისი სახალხო პარტია Fidesz ანტი - ისტებლიშმენტის წინააღმდეგობრივ ტალღას მიჰყვებოდა და ელიტური სოციალისტური მთავრობის წევრების ხელისუფლებიდან ჩამოშორებას ისახავდა მიზნად. გამოირჩეოდა ისეთი განცხადებებით როგორიცაა მაგალითად „ დავუბრუნოთ ძალაუფლება ხალხს“. პარტიისა და ორბანის წარმატება და ის ფაქტი, რომ ისინი დღესაც მმართველობის სათავეებთან არიან იმან განაპირობა, რომ მათ სწორად შეძლეს ხალხის ინტერესებით მანიპულირება. თავდაპირველად, ატარებდნენ ანტი-ისტებლიშმენტის პოლიტიკას არსებული სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგ. შემდეგ, ეს ანტაგონიზმი წარმატებით გადაიტანეს საერთაშორისო სივრცეში და დებატების საგნად საგარეო და არა საშინაო პოლიტიკა აქციეს. ამ გზით, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ ზედიზედ იქნენ არჩეულნი, ისინი არ გახდნენ ისტებლიშმენტის ნაწილი და ამომრჩევლის თვალში კვლავ ოპოზიციურ ძალად მიიჩნევიან რომელიც ამჯერად საგარეო ინტერვენციის წინააღმდეგ იბრძვის. განსაკუთრებით მომგებიანი ორბანისათვის იმიგრაციის საკითხი აღმოჩნდა. 2015 წელს პარტიას დაკარგული ჰქონდა მისი აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში, მაგრამ მიგრაციულმა კრიზისმა ზენიტს სწორედ ამ მომენტში მიაღწია. ორბანმა 110 მილის სიგრძის კედელი აღმართა სერბეთისა და ხორვატიის საზღვრების გასწვრივ რათა მიგრაციული ტალღა შეეჩერებინა და პროცესები საკუთარი სურვილისებრ წარემართა. ხალხის მხარდაჭერა კი მან ისეთ

სენტიმენტებზე აქცენტირებით მოიპოვა როგორიცაა თვითგადარჩენის სურვილი, ერის დაცვა და მსხვერპლის მითის გაძლიერება.

ქართული პოლიტიკური პარტიები:“ ქართული მარში“, „ პატრიოტთა ალიანსი“, „ქართული იდეა“, „კონსერვატიული მოძრაობა“ და გარკვეულ შემთხვევებში „ ქართული ოცნებაც“ ორბანის მსგავსად საგარეო (დასავლური) ინტერვენციის საწინააღმდეგო მოწოდებებით გამოირჩევა. ამ მხრივ ვიქტორ ორბანთან მათი მსგავსება აშკარაა.

თავი 2. პოპულიზმის წარმატების მიზეზები საქართველოში

„ ყველა ტიპის პოლიტიკა რაღაც ხარისხით პოპულისტური პოლიტიკაა და ჩვენთან ეს ხარისხი შედარებით უფრო მაღალია“ (მაცაბერიძე. დ. პერსონალური კომუნიკაცია. 12.01.2024) . რა განაპირობებს ხარისხის ამგვარ დონეს?

რთულია ერთმანეთისგან გაარჩიო პოლიტიკოსებისაგან მომავალი ჭეშმარიტი მესიჯები იმ პროპაგანდისაგან, რომელსაც პოლიტიკოსები ან პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად იყენებენ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დემოკრატიულობის ძალიან ხანმოკლე გამოცდილება გაგაჩნია. გამოცდილების სიმწირე, ფაქტებზე დაყრდნობისა და ლოგიკური ანალიზის საშუალებით ჭეშმარიტ პასუხამდე მისვლის ნაცვლად იმპულსებზე აყოლა, ინფორმირებულობის დაბალი დონე, პოლიტიკური პროცესების ჭორების დონეზე ანალიზი- ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი განაპირობებს იმას, რომ პარტიები მარტივად მოიპოვებენ ამომრჩეველთა მხარდაჭერას. მათთვის აბსოლუტურად საკმარისია ფოკუსირდნენ ამა თუ იმ ჯგუფზე, მოახდინონ მათი მანიპულირება იმგვარი რიტორიკით, რომელიც ამ ჯგუფის ინტერესებს შეესაბამება. შემდეგ კი იგივე გაიმეორონ მეორე ჯგუფთან დიალოგის დროს, ოღონდ უკვე სულ სხვა, ამ ჯგუფზე მორგებული რიტორიკით. საბოლოო ჯამში ერთ შემთხვევაში, ხელისუფლების სათავეში მოდის პარტია რომელიც ცრუ და შეუსრულებელი დაპირებების საფუძველზე წარმართავს პოლიტიკურ პროცესებს,

მეორე შემთხვევაში კი არსებული ხელისუფლება ამყარებს საკუთარ პოზიციებს შემდეგ არჩევნებამდე.

პოპულიზმის წარმატებას საქართველოში მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. პირველ რიგში, ესაა ჩვენი ისტორიული გამოცდილება, ქვეყანა 70 წლის განმავლობაში იყო ნაწილი იმ სასტიკი რეჟიმისა რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდებოდა. შესაბამისად იმ პერიოდში რაიმე ტიპის დემოკრატიული კულტურა ვერ ჩამოყალიბდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც, ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ გარდამავალ, დემოკრატიზაციის ეტაპზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პოლიტიკური ცნობიერება ჯერ კიდევ არაა მაღალ დონეზე. ამაზე ნათელ მაგალითს თუნდაც ქუჩის უბრალო გამოკითხვები შეგვიქმნის, სადაც ადვილი შესამჩნევია რა მცირე ინფორმაცია და საკუთარი პოლიტიკური როლის გააზრების უნარი გააჩნია მოქალაქეთა საკმაოდ დიდ ნაწილს. მაგ. უბრალო შეკითხვები: ვინ არის საქართველოს ეკონომიკის მინისტრი?, ვინ არის თქვენი რაიონის გამგებელი? ან შედარებით უფრო რთული: იცით თუ არა ნამახვან ჰესის სამშენებლო კონტრაქტის პირობები? დიდ დაბნეულობას იწვევს. ფაქტი რომ საზოგადოების მხრიდან, პოლიტიკური საკითხებისადმი ასეთი მცირე ინტერესი არსებობს, პოპულიზმის საფრთხეს გაცილებით ზრდის.

პოლიტიკური ჩართულობის ნაკლებობა დიდი პრობლემაა, ისტორიული წარსულიდან გამომდინარე ქართული საზოგადოები მაღალი სამოქალაქო ჩართულობით არ გამოირჩევა, ეს კი შესაძლებელია პოპულიზმის, კერძოდ ტექნოკრატიული პოპულიზმის განვითარების ხელშემწყობი აღმოჩნდეს. „.ტექნოკრატიული პოპულიზმის მომხიბვლელობა ისაა რომ მისი დაპირებაა არ არის ხალხისთვის ძალაუფლების დაბრუნება, არამედ იგი გვთავაზობს პოლიტიკის ტექნოკრატიულ ვერსიას რომელმაც ხალხს შვება უნდა მისცეს. გაათავისუფლოს ისინი აქტიური სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან მუდმივ რეჟიმში აკონტროლებდნენ მთავრობას“.(Buštíková . L, Guasti. P , 2019. გვ. 304). შეესაბამება თუ არა ეს განმარტება ჩვენს რეალობას? მთავრობის კონტროლის სურვილი ქართველ ხალხს ნამდვილად აქვს თუმცა ეს სამოქალაქო აქტიურობაში არ გამოიხატება.

უფრო დიდ პრობლემას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი წარსულის გავლენიდან ჯერაც ვერ გამოსულა. წარსულის რომელშიც კოლექტიური ძალისხმევით ქვეყნის მართვის პრაქტიკა არ არსებობდა და ყველაფერი ლიდერის სურვილსა და შესაძლებლობებზე იყო დაფუძნებული. დღესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი „ძლიერი ხელის“ მმართველობის ტიპის მხარდამჭერია, რაც პირდაპირ იგრძნობა მოსახლეობის მიდრეკილებაში- განადიდოს ესა თუ ის ლიდერი. ზვიად გამსახურდიას, სააკაშვილისა თუ ივანიშვილის ზენიტში აყვანა, თითქოს ჩვეულებრივ პრაქტიკადაა ქცეული. ამგვარ პირობებში კი შეუძლებელია პოპულიზმის მსხვერპლი არ გახდე. ვინმეს განდიდება ხომ ხელს გვიშლის რეალობის სწორად აღქმასა და წარსული გამოცდილების გათვალისწინებაში.

პოპულიზმის ხელშემწყობი კიდევ ერთი ფაქტორი სუსტად განვითარებული პლურალისტური ტრადიციებია. „პლურალიზმი პოპულიზმისაგან და ელიტიზმისაგან სრულიად განსხვავებულ ხედვას გვთავაზობს საზოგადოების შესახებ. ჰომოგენურ ხალხსა და ელიტას შორის არსებული მორალური დაპირისპირების ნაცვლად პლურალიზმი მიიჩნევს რომ საზოგადოება მრავალი სოციალური ჯგუფისაგან შედგება რომელთაც განსხვავებული იდეები და ინტერესები გააჩნიათ. ამიტომ პლურალიზმი მხარს უჭერს ძალაუფლების მრავალი ცენტრის არსებობას, პოლიტიკაში კი უნდა აისახოს რაც შეიძლება მეტი ჯგუფის პრეფერენციები კონსენსუსისა და კომპრომისის საშუალებით პლურალიზმი გამორიცხავს ერთიანი სახალხო ნების ფორმირებას. (Mudde. C and Kaltwasser. C. R, 2012. გვ. 152).

სამწუხაროდ, საქართველოს შემთხვევაში დაპირისპირება არა მრავალ პარტიასა შორის მიმდინარეობს, არამედ არსებობს ორი მტრულად განწყობილი ბანაკი და ამომრჩეველი იძულებულია არჩევანი მათ შორის გააკეთოს. „პოპულიზმი თავისი არსით ანტი პლურალისტურია მათი განცხადებები მორალისტურია . მეტოქე არ არის ის ვისაც უნდა მოელაპარაკო ის ჩამოცილებულ უნდა იქნას პოლიტიკიდან.“ (გოგსაძე. გ, პერსონალური ინტერვიუ. 10.01. 2024). ასეთ პირობებში, პოპულიზმი გამარჯვების მთავარ გზად მიიჩნევა. ამიტომაცაა, რომ „წინასაარჩევნო პერიოდში ყველა ანგარიშგასაწევი პარტია პოპულისტდება.“(ნოდია. გ, პერსონალური ინტერვიუ, 12.01. 2024)

2.1 პოპულიზმი კულტურულ ჭრილში

პოპულიზმზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კულტურული ფაქტორებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება საქართველოში თუ რომელიმე სხვა ქვეყანში მიმდინარე პროცესების გაანალიზება. ეჭვგარეშეა, არსებობს საზოგადოებაში მიღებული წეს-ჩვეულებებისა და ნორმების პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა. მაგ. პოლონური პოპულიზმის ანალიზისას პანკოვსკი ხაზს უსვამს კულტურული ფაქტორების მნიშვნელობას პოპულიზმის კვლევისას. პანკოვსკი აქცენტს აკეთებს ტრადიციებზე „რომელიც გარკვეული პოლიტიკური ქმედებების ლეგიტიმაციას ახდენს, პოპულიზმი ყვავის იქ სადაც იგი დაკავშირებულია უბრალო ხალხის კულტურასთან. მაგალითად პოლონეთში არსებობს ისეთი საზოგადო ჭეშმარიტება როგორიცაა-„ ყველა პოლონელი კათოლიკეა“ (Gordon. N, Bonikowski. B. გვ. 7) საქართველოს შემთხვევაში ეს გამოთქმა შეგვიძლია შემდეგით ჩავანაცვლოთ-„ ყველა ქართველი მართლმადიდებელია“. ამგვარი წარმოდგენები პოპულიზმის განვითარებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. პატრიოტთა ალიანსის ანტი-თურქული კამპანიები, ქართული მარშისა და ქართული იდეის მიერ წამოწყებული ანტი-დასავლური მოძრაობები, სწორედ ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზეა დაფუძნებული.

ქართულ კულტურაში ღრმად დანერგილი, კიდევ ერთი რწმენა ისაა, რომ პოლიტიკა ეს „ბინძური თამაშია“ (შეიძლება ასეც არის) და აქ ერთმანეთს ორი მტრული ბანაკი უპირისპირდება. შეგვიძლია პარალელი გავავლოთ პოპულიზმთან დაკავშირებით ჰოლანდიაში ჩატარებულ კვლევასთან. ჰოლანდიელი ამომრჩევლის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ „არსებობს კვეთა პოპულიზმსა და ტექნოკრატიულ მმართველობას შორის, სურვილი რომ ადამიანები იმართებოდნენ ელიტარული ექსპერტების მიერ კავშირშია პოლიტიკის აღქმასთან, რომ იგი ბოროტ და კეთილ ძალებს შორის დაპირისპირებაა.“ (Buštíková . L, Guasti. P , 2019. გვ.305). ჩვენს შემთხვევაში ეს დაპირისპირება „ცუდსა და უარესს“ შორის დაპირისპირებად უფროა აღქმული, თუმცა ფაქტი, რომ დღევანდელი ქართული პოლიტიკა ორი ძალის ბრძოლის ჭრილში განიხილება, აშკარაა.

2.2 პოპულისტები მულტიკულტურული ელიტების წინააღმდეგ

თემის ანალიზი პოპულიზმისა და ნაციონალიზმის განხილვით უნდა დავიწყოთ. „პოპულისტი აქტორები და მითუმეტეს პოპულისტი პარტიები ორგანიზებულნი არიან ერი სახელმწიფოს დონეზე. და როდესაც ისინი ხალხს როგორც „ანდერდოგს“ წარმოაჩენენ და მოითხოვენ ამ ხალხის ინტერესთა აღსრულებას, ეს ხალხი თავისთავად განისაზღვრება ერი სახელმწიფოს დონეზე. მიუხედავ იმისა არიან ეს პარტიები ნაციონალისტები თუ არა. ეს უფრო ცხადი მაშინ ხდება როდესაც პოპულისტური ლიდერები მთავრობის წევრები ხდებიან. ელიტა ხშირად განისაზღვრება როგორც ძლიერი ჯგუფი სახელმწიფოს შიგნით: პოლიტიკოსები, ინტელექტუალები ხელოვანები... თუმცა, ამ შემთხვევაში, უფრო ხშირია პოპულისტების მხრიდან ანტაგონიზმის კონსტრუირება ნაციონალური გაგებით ხალხსა და უცხოურ ელიტას შორის.(Kaltwasser. C. R..., 2017, გვ. 442) „ ამგვარი განმარტება კარგად აღწერს ქართული პოლიტიკური პარტიების დაპირისპირებას დასავლური ქვეყნებისა თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ეს ექსკლუზიური ნაციონალიზმია. მისი მთავარი არგუმენტი ელიტების არალეგიტიმურობის დასადასტურებლად, არის ნაციონალისტური არგუმენტი. ისინი მიიჩნევენ რომ პოლიტიკური ელიტა აფართოებს უცხოელებისა და ემიგრანტების უფლებებს საკუთარი ნაციის უფლებების შემცირების ხარჯზე.

ქართული პოლიტ პარტიები შესაძლოა მემარჯვენე პოპულისტების რიტორიკას ატარებდნენ.“ ნაციონალური კულტურული იდენტობის საკითხით პოპულისთთა მემარჯვენე ფლანგია დაკავებული. ისინი მიიჩნევენ რომ პოლიტიკური ელიტა აფართოებს უცხოელებისა და ემიგრანტების უფლებებს საკუთარი ნაციის უფლებების შემცირების ხარჯზე. ისინი გამოირჩევიან წინააღმდეგობით როცა საქმე უცხოურ სუპრა-ნაციონალურ ელიტას ეხება. მაგ. მემარჯვენე პოპულისტებისთვის ანტაგონიზმის მთავარი წყარო ნაციონალური პოლიტიკის დაპირისპირება იყო მულტიკულტურულ გლობალურ პოლიტიკასთან, რომელიც „ ზემოდან“ იყო ნაკარნახევი და საფრთხეს უქმნის ნაციის იდენტობას, კულტურასა და ეკონომიკურ ინტერესებს. ევროპაში ისინი

ნაციონალური იდენტობების დასუსტებაში ევროპულ ინსტიტუტებს ადანაშაულებდნენ, იმიგრაციული პოლიტიკისა და ევროპული ინტეგრაციისა და გლობალიზაციის საშუალებით.

ასევე პოპულისტურ ნაციონალურ ჭრილში მათ აქვთ მორალისტური მოთხოვნებიც. ამერიკული პარტია „Tea party“ და სხვა რადიკალური მემარჯვენე პოპულისტები აშშ-ში, ეწინააღმდეგებიან სუპრანაციონალურ და უცხოურ ელიტებს მათი კოსმოპოლიტური პოლიტიკის გამო და ლიბერალური/ პროგრესული პოლიტიკის გატარებისთვის. მაგ. გეი აქტივიზმს, გენდერულ ურთიერთობებსა და აბორტს.(Kaltwasser. C. R..., 2017, გვ.450)

თავი 3. პარტიული პოპულიზმი საქართველოში

ქართული პარტიების უმეტესობა იყენებს ან მისი არსებობის გარკვეულ ეტაპზე იყენებდა პოპულიზმს, როგორც ძალაუფლების სათავეში მოქცევის, ძალაუფლების შენარჩუნების, ამომრჩეველთა სენტიმენტებით მანიპულირებისა და ხმების მოპოვების საშუალებას, მაგრამ არიან თუ არიან საქართველოში კლასიკური გაგებით პოპულისტი აქტორები? ამის გასარკვევად აუცილებელია პოპულიზმის კრიტერიუმების სწორად განსაზღვრა და მისი სახეობების სწორი გააზრება.

პირველ რიგში, პოპულიზმი არ არის მხოლოდ ელიტებზე შეტევა და უბრალო ხალხის ინტერესთა დაცვა, ეს არის იდეა რომ ყველა ყველა ინდივიდს შეუძლია გაერთიანდეს საერთო მიზნის გარშემო და გამოაცხადოს სახალხო სუვერენიტეტი ერთადერთ ლეგიტიმურ წყაროდ პოლიტიკური ძალაუფლებისა.(Mudde. C and Kaltwasser. C. R, 2012. გვ.151)

პოპულიზმს მივიჩნევთ იდეოლოგიად, რომელსაც 3 ძირითადი მახასიათებელი აქვს. ეს სამი მნიშვნელობა არის აუცილებელი კრიტერიუმი პოპულიზმის

განმარტებისათვის. სამივე მათგანის არსებობა აუცილებელია რათა ფენომენის პოპულისტურად კატეგორიზაცია მოხდეს. მაშასადამე პარტიები ან მოქმედი პირები რომლებიც მხოლოდ ანტი-ელიტისტურ რიტორიკას იყენებენ არ კატეგორიზდებიან როგორც პოპულისტები. ასევე, რიტორიკა რომელიც იცავს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპებს და ხალხის ნებას, არ წარმოადგენს პოპულიზმის შემთხვევას. (Mudde. C and Kaltwasser. C. R, 2012. გვ.151)

მაგალითებზე საუბრისას ჩვენ ამ ძირითად დებულებას უნდა დავეყრდნოთ, პოპულიზმი აუცილებლად გულისხმობს უბრალო ხალხსა და მავნე ელიტას შორის დაპირისპირებას და აღიარებს სახალხო ნების უზენაესობას. გასათვალისწინებელია პოპულიზმის სახეობები და ამავდროულად სხვა ისეთი მახასიათებლებიც რომლებიც წინააღმდეგობაში არ მოდის ძირითად დებულებებთან . შესაბამისად ჩვენ ვიღებთ იმ კრიტერიუმთა ჩამონათვალს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა გავიგოთ არის თუ არა ესა თუ ის აქტორი პოპულისტი.

ძირითადი კრიტერიუმები

1. განიხილავენ თუ არა ისინი ქართულ პოლიტიკურ სივრცეს უბრალო ხალხსა და ელიტებს შორის დაპირისპირების კონტექსტში?(ელიტებში მოვიაზრებ არა მხოლოდ შიდა სახელმწიფო ელიტებს არამედ ინტერნაციონალურ ელიტებსაც)
2. აკეთებენ თუ არა აქცენტს სახალხო ნების უზენაესობაზე?

დამატებითი კრიტერიუმები

3. იყენებენ თუ არა ეროვნულ, ეთნიკურ ან რელიგიურ სენტიმენტებს ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად?
4. იცავენ თუ არა პლურალიზმის პრინციპებს?
5. ცდილობენ თუ არა ოპონენტების დისკრედიტაციასა და დელეგიტიმაციას?
6. რამდენად ხშირად ცვლიან საკუთარ რიტორიკას?

შეკითხვებზე დაყრდნობით განვიხილით რამდენიმე მაგალითი ქართული რეალობიდან როდესაც პარტიების თუ პარტიული ლიდერების მოქმედებები შესაბამისობაში მოდიოდნენ ზემოთ ხსენებულ სამ კრიტერიუმთან და/ ან როდესაც

იყენებდნენ პოპულისტურ რიტორიკას და ამავდროულად ცვლიდნენ სტრატეგიას ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად .

უცნაური არ იქნება თუ განხილვას ქვეყნის მმართველი პარტიით დავიწყებთ.

„ქართული ოცნება“

სტატიაში ტექნოკრატიული პოპულიზმი ჰიბრიდულ რეჟიმებში ბიძინა ივანიშვილი და მის მიერ დაფუძნებული პოლიტიკური პარტია“ ქართული ოცნება“ ტექნოკრატ პოპულისტებად არიან მოხსენიებულნი. ავტორები ამას შემდეგი მსჯელობებით ხსნიან: ტექნოკრატი პოპულისტები ცდილობენ ოპოზიციის ფრაგმენტაციას და დისკრედიტირებას, მათ აქვთ იდეოლოგიისაგან თავისუფალი პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგოა და ემსახურება ხალხის მხარდაჭერის მოპოვების მცდელობას, და უარყოფილია თუ აღმოჩნდება რომ იგი აღარ არის საჭირო ან ზედმეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული. იდეოლოგიური მოქნილობა საშუალებას აძლევს პოპულისტებს მყისიერად უპასუხონ ამომრჩეველთა სურვილებს და აიმაღლონ რეიტინგი. ხოლო მაშინ როცა კრიზისი იჩენს თავს, ლიდერი პერსონალურად აგვარებს პრობლემას.(Aprasidze.D, Siroky. S. D, 2020. გვ. 586.). სტატიაში მოყვანილია შემდეგი მაგალითები:

ა)ივანიშვილს ჰყავს საკუთარი „ შიდა წრე“ რომელიც დაკომპლექტებულია მისი ბიზნეს თანამშრომლებით. არსებობს „გარე წრეც“ რომელიც შიდა წრის საშუალებით ცენტრს უკავშირდება. მაღალი რანგის პირები პასუხისმგებლობას გრძნობენ ივანიშვილის(the company chair/the owner) -ის და არა სახელმწიფო ინსტიტუტების მომართ. მოკლედ ტექნოკრატ პოლიტიკურ ლიდერს ჰიბრიდულ რეჟიმებში მარტივად შეუძლია ძირითადი ინსტიტუტების ხელში ჩაგდება და ექსპლუატაცია, პოლიტიკოსები სახელმწიფოსთან დაკავშირებულნი არიან მათი ლიდერის „(the chair) -ის საშუალებით(Aprasidze.D.... 583).

ბ)2019 ში ოცნებამ დაბლოკა სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, რომელსაც ოპოზიციის უმრავლესობა, ინტერნაციონალური აქტორები და არასამთავრობო ორგანიზაციები მხარს უჭერდნენ. არადა სრული ტრანზიცია თავად ოცნებისა და ივანიშვილის დაპირება იყო. (Aprasidze.D...584).

გ)ოცნება მიუთითებს მოსახლეობას, რომ მათი შეცდომები ახლოსაც არაა იმ დანაშაულებებთან რომლებიც წინა მთავრობამ ჩაიდინა „ ჩვენი მოწინააღმდეგეები არ წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიას, ჩვენ ვებრძვით მოძალადეებს რომლებიც შურისძიებისთვის არიან გაერთიანებულნი“ აცხადებდა ივანიშვილი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში. (Aprasidze.D...585)

დ)“გავრილოვის ღამის“ შემდეგ ივანიშვილმა საარჩევნო სისტემის პროპორციულ სისტემაზე გადასვლის დაპირება გასცა, რომელიც 2024 წლის ნაცვლად 2020 წელს მოხდებოდა. თუმცა საპროტესტო ტალღის დასუსტების შემდეგ ოცნებამ ეს დაპირება არ შეასრულა და პარლამენტი კანონპროექტის ბლოკირებაში დაადანაშაულა. (Aprasidze.D...586)

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ქართული ოცნების საშინაო პოლიტიკას შეეხება, რაც შეეხება ქართული ოცნების საგარეო პოლიტიკას და საერთაშორისო აქტორებთან დაპირისპირების მაგალითებს: ქართული ოცნება აქტიურად უპირისპირდებოდა აშშ-ის წარმომადგენლებს, „ აშშ საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფას ცდილობს, სახელმწიფო დეპარტამენტი მართლმსაჯულების სისტემაში ერევა, მოსამართლეთა სანქცირების მიღმა „გლობალური ომის პარტიის“ კორუფციული სქემები დგას; ხოლო ყველაფერი ეს - საქართველოს ომში ჩართვას, „მეორე ფრონტის“ გახსნას უკავშირდება. (კუნჭულია.ლ 2023), მსგავსი შინაარსის განცხადებები კეთდებოდა „ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან აშშ-ის მიერ ქართველი მოსამართლეებისათვის დაწესებული სანქციების შემდეგ.

აღსანიშნავია „ქართული ოცნების“ დაპირისპირება ევროპარლამენტარებთან. „მაღალი რანგის პოლიტიკოსი საქართველოში"დასავლური პოლიტიკის დისკრედიტაციისთვის ჩამოვიდა".(საუბარია ვიოლა ფონ კრამონზე). საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს ფონ კრამონი და ასევე, ის ადამიანები, ვინც ევროპარლამენტში რეზოლუციის შემქმნელები, ლობისტები არიან და საქართველოს წინააღმდეგ არიან მიმართულები“,- აღნიშნავდა გია ვოლსკი.(Tvpirveli. 2021). პარალელურად, „ოცნება აქტიურად ებრძვის ოპოზიციურ ელიტას-„მედიის განვითარების ფონდის(MDF) ანგარიშის მიხედვით, „წინასაარჩევნო პერიოდში(2020),

მმართველი პარტია ატარებდა ოპოზიციური პარტიის, კერძოდ ნაციონალური მოძრაობის მადისკრედიტებელ კამპანიებს:“გარეჯი საქართველოა!, წინა ხელისუფლებამ დავით გარეჯი აზერბაიჯანს მიჰყიდა”; “ომი სააკაშვილმა დაიწყო”;, “ზუგდიდში ბანკის ძარცვა ნაციონალური მოძრაობის პროვოცირებულია”. (ბოგვერაძე. მ . 2020)

რაც შეეხება რიტორიკის არათანმიმდევრულობას დროთა განმავლობაში-ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიას პიარ კამპანიები. „ქართული ოცნება“ დროსა და რესურსს არ იშურებდა რათა იგი ძლიერ პოლიტიკურ ლიდერად წარმოეჩინა. თუმცა მას შემდეგ რაც გახარიასა და მმართველი პარტიის გზები გაიყო, ეს უკანასკნელი პირველს მოღალატედ და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირებულ პირად წარმოაჩენდა. ამგვარი პროპაგანდა დაფუძნებული იყო იმ პოპულისტურ მიდგომაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კარგად იცოდა მოსახლეობის დიდი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება ოპოზიციური პარტიის მიმართ და ამას გახარიას წინააღმდეგ იყენებდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ მმართველი პარტია საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, უკვე 10 წელია მოსახლეობის სენტიმენტებით აპელირებს. მათვის კარგადაა ცნობილი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის კატეგორიულად მიუღებელია „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის სათავეებთან დაბრუნება და ამ ფაქტს ყოველი არჩევნების წინ წარმატებით იყენებენ, ისეთი დისკურსის გატარებით როგორიცაა „ თუ ჩვენ არ აგვირჩევთ, მათ გამარჯვებას შეუწყობთ ხელს“.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი , რომ შევაჯამოთ: ა) „ ოცნება“ მიიჩნევს, რომ ის ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველია, ეს ინტერესები კი „ენმ“-ის წინააღმდეგაა მიმართული, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს პარტიის იდეოლოგიას წარმოადგენს. ბ) უპირისპირდება საერთაშორისო აქტორებს, მაგრამ კონკრეტულ პირებს და არა თავად ორგანიზაციებს თუ სახელმწიფოებს გ) ხშირად ცლის რიტორიკას დ) ხელს უწყობს ოპონენტების დელეგიტიმაციას და დისკრედიტაციას.

რთული იქნება ვთქვათ, რომ „ოცნება“ საკუთარ პოლიტიკას ხალხსა და ელიტებს შორის დაპირისპირების ნარატივზე აგებს. საერთაშორისო აქტორებთან მათი დაპირისპირებაც კონკრეტული პირებისა და არა ორგანიზაციების წინააღმდეგაა მიმართული. „ოცნება“

კლასიკურ პოპულისტურ პარტიად ვერ კლასიფიცირდება. რეალობასთან უფრო ახლოს იქნება თუ ვიტყვით, რომ “ ოცნების” საერთაშორისო აქტორებთან დაპირისპირება ” ეს ნაციონალურ სენტიმენტებზე აპელირებაა და ეს მათ სტრატეგიად შეგვიძლია მივიჩნიოთ” აცხადებს პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი გიორგი გოგსაძე (გოგსაძე. გ, პერსონალური ინტერვიუ, 2024. 10 იანვარი), ამავდროულად, როდესაც პარტიისა და საერთაშორისო ელიტების დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი- პოლიტოლოგ გია ნოდიას სიტყვებით- „გააჩნია ჩვენს ვარაუდს, რა არის მოტივი ასეთი განცხადებებისა“ (ნოდია. გ, პერსონალური ინტერვიუ, 2024. 12 იანვარი)

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

პოპულიზმზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს თუ ის აქტორი შესაძლებელია იყენებდეს პოპულისტურ რიტორიკას , ტოვებდეს და უბრუნდებოდეს მას დროის გარკვეულ მონაკვეთებში. მაგ. ნაციონალური მოძრაობის ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის რიტორიკის ცვლილება დროის სხვადასხვა მონაკვეთში საინტერესო რამაა. სააკაშვილის მმართველობის დასაწყისში მისი პოლიტიკა მიმართული იყო ქართული კულტურისა და ცხოვრების წესის მოდერნიზაციისაკენ, მისი დასავლური ცხოვრების სტილთან დაახლოვებისაკენ, იქნებოდა ეს პოლიტიკურ, კულტურულ თუ რელიგიურ კონტექსტში. ბოლო წლებში კი, მას შემდეგ რაც მოსახლეობის დიდ ნაწილში ტრადიციული ღირებულებების გაძლიერების ტენდენცია შეინიშნება, სააკაშვილის რიტორიკაც შეიცვალა მაგ. ის უკვე გიგა ბოკერიას ადანაშაულებდა, რომ მან და მისნაირმა ადამიანებმა გააკეთეს ყველაფერი რათა ქართველი ხალხი ჩამოშორებოდა ქართულ, ტრადიციულ, ქრისტიანულ ცხოვრებას.

რიტორიკის ცვლილება პოლიტიკური ქულების დაწერისათვის საჭირო მეთოდია. რომელიც პოპულიზმის ნიშნად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

რაც შეეხება „ენმ“-ის დამოკიდებულებას ხალხისა და ელიტების დაპირისპირების შესახებ. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მმართველს პარტიას ხალხთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ელიტად მიჩნევს. „ენმ“-ისთვის უკვე 12 წელია რაც

„ქართული ოცნება პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენს რომელიც ხალხის ინტერესებს უგულვებელყოფს. მაგ. ნიკა მელიას თქმით „ქართული ოცნების" პირობებში მოქალაქეები უკიდურესად გაღატაკდნენ. მისი თქმით, მოსახლეობის 90%-ზე მეტი უსამსაუხროდ, ულუკმაპუროდ არის დარჩენილი. და საჭიროა ბრძოლის გაგრძელება ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის დასამარცხებლად. (Tvpirveli. 2023)

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „ ოცნებას „ პრორუსულ ელიტას უწოდებს და ხშირად ადანაშაულებს ხალხის ნების წანააღმდეგ მოქმედებაში. მაგ. 2023 წელს, პარლამენტის წინ ევროკავშირის დროშის ჩამოგლეჯისა და დაწვის ფაქტს ენმ ამგვარად ეხმიანებოდა: "ეს არის რუსული ოცნების მიერ კონსტიტუციის დარღვევით ორგანიზებული დანაშაული, რომელიც მიმართულია ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ". (Formulanews . 2023)

„ნაციონალური მოძრაობა“ ახლოს დგას პოპულიზმის კლასიკურ განსაზღვრებასთან. იყენებს(ქმნის) ანტაგონიზმს ხალხსა და ელიტას შორის, ხშირად აკეთებს აქცენტს ხალხის ნებაზე, არ გააჩნია კონკრეტული იდეოლოგია და სწრაფად ცვლის რიტორიკას ხალხის განწყობის შესაბამისად. ისიც , „ოცნების “მსგავსად, „პოპულიზმს სტრატეგიად იყენებს და არცერთი მათგანისთვის პოპულიზმი იდეას არ წარმოადგენს“(გოგსაძე. გ, პერსონალური კომუნიკაცია. 10.01. 2024). თუმცა, რთულია იპოვნო ის ზღვარი, რომლის შემდეგაც პოპულისტური რიტორიკა პოპულისტურ იდეოლოგიად გარდაიქმნება, ამ შემთხვევაში ყურადღება გრადაციაზე, პოპულისტურ ქმედებათა სიხშირეზე უნდა გავამახვილოთ და თუ „ენმ“-ის პოპულისტურ განცხადებათა სიხშირეს გავითვალისწინებთ, ხსენებული ზღვარი შესაძლოა მარტივად გადაილახოს.

„სტრატეგია აღმაშენებელი“

პარტიისთვის ქართული პოლიტიკური სისტემა ოლიგარქიულია. მმართველობის მე-11 წელს "ოცნება" ოლიგარქიაშია მხილებული, - ასე აფასებს "სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერი პრემიერის და კახა კალაძის მიერ სამთავრობო თვითმფრინავის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებას. გიორგი ვაშაძე ასევე

აცხადებს, რომ „ხელისუფლება ხალხის ხარჯზე მდიდრდება და ფუფუნებაში ცხოვრობს იმ დროს, როდესაც რიგითი მოქალაქეები ღარიბდებიან.“ (Tvpirveli . 2023) . პარტიის განცხადებებში ხშირადაა ხაზგასმული ხალხისა და ელიტის(ოლიგარქიის) დაპირისპირება.

„ევროპული საქართველო „

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიგი უგულავას განცხადებებით, მიხეილ სააკაშვილი აღარ გამოდგებოდა ოპოზიციური ძალების ლიდერად და უმჯობესი იქნებოდა თუ ის ასპარეზს სხვა პოლიტიკოსებს დაუთმობდა, თუმცა მას შემდეგ რაც დრომ აჩვენა, რომ სააკაშვილის მხარდამჭერების რაოდენობა აუცილებელი დანამატი იყო „ევროპული საქართველოს“ წარმატებისთვისაც, უგულავამ სააკაშვილი ისევ გამოაცხადა ოპოზიციის ლიდერად და მოსახლეობას მისი მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. რიტორიკის ამგვარი ცვლილება, რათქმაუნდა პოპულისტურ მიზნებს, ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას ემსახურება.

რაც შეეხება მმართველ პარტიასთან დაპირისპირებას, პარტიის ხელმძღვანელობა ქართულ პოლიტიკურ სისტემას ოლიგარქიად მოიხსენიებს „ეს ეს რეჟიმი მთლიანად მოწყობილია ოლიგარქ ივანიშვილის ძალაუფლების შენარჩუნებაზე“ აცხადებდა გიგა ბოკერია (Cnews. 2024)

„პატრიოტთა ალიანსი“

საქართველოში, ტერმინ პოპულიზმთან ხშირად პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ ასოცირდება. რაც მათი ქმედებებითა და პოლიტიკური განცხადებებითაა განპირობებული: ისინი აქტიურად უპირისპირდებიან დასავლურ აქტორებს და მათ უცხოურ ელიტად მიიჩნევენ, რომელიც ქვეყნის შიდა საქმიანობაში ჩარევას ცდილობს. მაგ. 2018 წელს, პარტიის კუთვნილებაში მყოფ ტელეკომპანია ობიექტივს „ჰქონდა ყველაზე მაღალი ანტიამერიკული გზავნილებს მაჩვენებელი, ჯამში 50 შემთხვევა.“ (კვირიკაშვილი. ს . 2022). ასევე, (MDF) 2020 წლის წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით კი „ნატოს წინააღმდეგ ყველაზე მეტი კომენტარი პატრიოტთა ალიანსის წევრებმა გააკეთეს, რა დროსაც ნეიტრალიტეტისა და რუსეთთან პირდაპირი

დიალოგის გზით პრობლემების მოგვარების საკითხი დომინირებდა.“(Tabula. 2020). „პატრიოტთა ალიანსმა“ გამართა აქციები ამერიკის საელჩოსთან სადაც აცხადებდნენ, რომ „ საქართველო სუვერენული სახელმწიფო და არა რუსეთის ან აშშ-ის გუბერნია.“ „პატრიოტთა ალიანსის“ აქციებზე ხშირად გაისმოდა დასავლური ორგანიზაციების(NDI, IRI) კრიტიკა და რელიგიური თუ ნაციონალური მოწოდებები“ დაიცავი ეკლესია, დაიცავი პატრიარქი, დაიცავი საქართველო“ ,- აცხადებდა დავით თარხან-მოურავი ერთ-ერთ დემონსტრაციაზე (1tv. 2020).

ამავდროულად პარტია უპირისპირდება ელიტებს ქვეყნის შიგნით. 2018 წელს, ირმა ინაშვილმა პარლამენტში წარადგინა რეზოლუცია სადაც „ ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდის „ სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადებას გულისხმობდა“. პატრიოტთა ალიანსის“ მეირ მომზადებული რეზოლუცია ასკვნის, რომ ჩამოთვლილ დანაშაულებებზე პასუხისმგებლები არიან მიხეილ სააკაშვილი, მაშინდელი პოლიტ-ელიტა, მათ შორის გიგა ბოკერია, მათ მიერ კონტროლირებადი „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი განაყოფი „ევროპული საქართველო“ (1tv. 2018).

რაც შეეხება „ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებას, ინაშვილი აცხადებდა, რომ „“ოცნების” მმართველობის სტილი ძალიან ჰგავს გასული საუკუნის ოციანი წლების ბოლშევიკური მმართველობის სტილს.“ (ცქიფურიშვილი. ნ. 2021), ასევე- კონსტიტუცია ჯიბეში ჩაიგდო მმართველმა პარტიამ. ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ მმართველ პარტიას, რომ საქართველოში დემოკრატიულ ფასეულობებს დაიცავს ხალხი",(On .2017).

პოპულისტ აქტორებს ხშირად ახასიათებთ რეფერენდუმებისა და პლებისციტისადმი დადებითი დამოკიდებულება, რათქმაუნდა, რეფერენდუმის მოთხოვნა არ არის საკმარისი რათა აქტორი პოპულისტად მოვნათლოთ, თუმცა ესეც საინტერესო დამატებითი ფაქტორია. პატრიოტთა ალიანსის წევრებმა დროის სხვა და სხვა მონაკვეთში რეფერენდუმების ჩატარების არაერთი მოთხოვნა წამოაყენეს. მაგ.ა) ადა მარშანიას მიერ ინიცირებული რეფერენდუმი მარიხუანის ლეგალიზაციის აკრძალვასთან დაკავშირებით, ბ) რეფერენდუმის მოთხოვნა ოცნების მიერ მიღებული საკონსტიტუციო პაკეტის მიღების წანააღმდეგ. გ) ინაშვილის ინიციატივა რომ

შექმნილიყო უხუცესთა საბჭო რათა გადაწყვეტილიყო თბილისთან დაკავშირებული საკითხები. "არცერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ უნდა ხორციელდებოდეს თბილისის მერიის მიერ თუ არ იქნება ჩატარებული რეფერენდუმი", - ინაშვილი. (Tabula . 2017)

რელიგიურ , ეთნიკურ და ნაციონალურ თემებზე აქცენტირება „პატრიოთა ალიანსისთვის დამახასიათებელი ნიშანია. ამის დასტურია მათი ანტი-თურქული განცხადებები და საარჩევნო სლოგანები. მაგ. „დაიცავი აჭარა, დაიცავი შენი წილი საქართველო“ ან იმგვარი ინფორმაციის გავრცელება როგორიც იყო 2019 წელს „პატრიოტთა ალიანსის „ წევრის, ვაჟა ოთარაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა ორასი ათასი სირიელი ლტოლვილის შემოყვანის განკარგულებას. ლტოლვილების ტალღა ჩვენსკენ“ ევროპამ გადმოამისამართა“ და მომავალში „ცნება ქართველი რაღაც ნომინალური გახდება“(იაგანაშვილი . გ . 2019)

პატრიოტთა ალიანს პოპულიზმის ძირითად კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ერთდროულად ებრძვის შიდა და გარე ელიტებს, პოლიტიკურ სივრცეს ხალხისა და ანტაგონისტურად განწყობილი ელიტების დაპირისპირების ჭრილში განიხილავს, ხაზს უსვამს სახალხო ნების უზენაესობას და ინტერესთა გამოხატვის საშუალებებში უპირატესობას რეფერენდუმებს ანიჭებს.

„ტრიბუნა“

თუ პოპულიზმი ხალხისა და ელიტების დაპირისპირებასა და სახალხო ნების უზენაესობაზე ხაზგასმას გულისხმობს, შეგვიძლია პარტია „ტრიბუნასა“ და საბანკო სექტორთან დაპირისპირების მაგალითზე ვიმსჯელოთ.

პარტიის თავმჯდომარის, დავით ჭიჭინაძის თქმით „ საქართველოს მთავრობამ ბანკების ხელშეწყობით „ადამიანების ძარცვა დაიწყო“.

„მაისიდან მთავრობამ ადამიანების ყველაზე დიდი ძარცვა დაიწყო ...მოგების გადასახდი გაუზარდეს, რასაც ბანკებმა საპროცენტო განაკვეთის 40-50 %-ის გაზრდით უპასუხეს. ამას ემატება მომსახურების პროცენტები, გაზრდილი საკომისიოები და ფინალში გამოვიდა,

რომ ისევ ხალხი იძარცვება და ისჯება. ყველაზე მეტად მაინც ემიგრანტები და მათი ოჯახები იძარცვებიან, მითუმეტეს ხელოვნურად დაწეული ლარის კურსის ფონზე და პენსიონერები. ყოველი ტრანზაქცია ბანკში მათ მინიმუმ 20%-ს ატოვებინებს“,- განაცხადა დავით ჭიჭინაძემ. . (Interpressnews . 2023) ამ შემთხვევაში ჭიჭინაძე ფინანსურ ელიტას უპირისპირდება. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მისი ზოგადი რიტორიკა პოპულიზმზეა აგებული.

„ქართული იდეა „

პარტია „ქართულია იდეა“ არა შიდა არამედ უცხოურ ელიტასთან დაპირისპირებით გამოირჩევა. პარტიის ლიდერის, გურამ ფალავანდიშვილის განცხადებებსა და პარტიის რეკლამებში“ წარმოდგენილი იყო ანტიდასავლური, NATO-ს საწინააღმდეგო და აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის დისკრედიტაციისკენ მიმართული მესიჯები. ყველაზე ფართოდ გავრცელებულმა რეკლამამ, რომელშიც გურამ ფალავანდიშვილი ერთდროულად აჟღერებს ანტიდასავლურ და ჰომოფობიურ მესიჯებს, მიაღწია 200-250 ათას Facebook მომხმარებლამდე“(Damoukidebloba.2020) . ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩევა „ქართული იდეის“ ლიდერის , ლევან ჩაჩუას განცხდებები. იგი მძაფრად აკრიტიკებს აშშ-ის დღევანდელ ადმინისტრაციას და მათ ლგბტ პროპაგანდის მხარდაჭერაში ადანაშაულებს-
„დღევანდელი მარიონეტი პოლიტელიტა ისევე დააყენებს პოლიციას და სპეცრაზმს, როგორც რიონის ხეობაში გააკეთა, და ყველა საშუალებით ეცდება, გეიაღლუმის ჩა ტარებით ერთგულება დაუმტკიცოს აშშ–ის ადმინისტრაციას(Geworld. 2021)

MDF- ის ანგარიშს თუ დავეყრდნობით, პარტიის განცხადებებიდან ყველაზე მეტი(14) დასავლეთის წინააღმდეგ გაკეთდა. (ბოგვერაძე. მ . 2020)

პარტიას ახასიათებს რელიგიურ სენტიმენტებზე აქცენტირება. ამაზე მეტყველებს მათი ქმედებები და განცხადებები. მათ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნეს პეტიცია „სოდომური ცოდვის“ დაკანონების წინააააღმდეგ“. შეგვიძლია გავიხსენოთ გურამ ფალავანდიშვილის მიერ ხელმოწერების შეგროვება ჰომოსექსუალობის პროპაგანდის

ასაკრძალად და პარტიის განცხადება“ -„ქრისტიანი ყველა საშუალებით უნდა ებრძოდეს გარყვნილებას“. ((ქევანიშვილი. ე . 2019)

„ქართული მარში“

„ქართული მარში“, „ქართული იდეის“ მსგავსად, აქცენტს გარე ელიტასთან დაპირისპირებასა და ეროვნული სენტიმენტებზე აკეთებს. თუმცა მათგან განსხვავებით უპირისპირდება შიდა ოპოზიციურ და სამთავრობო ელიტებსაც. საპარლამენტო არჩევნებით უკმაყოფილო პარტიის ლიდერი ქართული ოცნების ოფისთან გამართულ აქციაზე შემდეგ განცხადებას აკეთებდა:„მე მინდა მივმართო ქართველ ერს, რომ ეს არჩევნები კი არ გაყალბდა, არამედ „ქართულმა ოცნებამ" დააყაჩაღა ქართველი ხალხის ნება. ქართველი სოროსი აღმოჩნდა თვითონ ბიძინა ივანიშვილი", - ირაკლი შიხიაშვილი. (Radiotavisupleba. 2020). ებრძვის ქვეყნის შიდა, ოპოზიციურ ელიტას, სათავეში ედგა რა კამპანიას „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. ისინი მართავდნენ აქციებს სადაც აცხადებდნენ რომ“ დავით გარეჯი მიხეილ სააკაშვილის გაყიდულია და საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ეს მოღალატეობრივი ქმედება არ უნდა შერჩეს.“ ასევე „ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, რადგან „ქართული მარში“ საარჩევნო კამპანიის წარმართვის საშუალებას არ მისცემს.“(1tv. 2020)

2020 წლის 1 აგვისტოდან - 26 ოქტომბრამდე პერიოდში „ქართული მარშის“ მიერ გავრცელებული რეკლამები მოიცავდა შემდეგ თემებს: მიხეილ სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დადანაშაულება დავით გარეჯის „გაყიდვაში“ და პირადობის მოწმობაში ეროვნების გრაფის აღდგენა. (Damoukidebloba.2020)

პარტია არ ერიდება დასავლურ ორგანიზაციებთან დაპირისპირებასაც, MDF-ის ანგარიშის მიხედვით ქართული მარშის” ყველაზე მეტი განცხადება მიმართული იყო დასავლეთის (16) და ჯორჯ სოროსისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ (10). (ბოგვერაძე. მ . 2020). ქართული მარში რეგულარულად მართავდა აქციებს ღია საზოგადოება- საქართველოს ოფისთან და ე.წ „სოროსის ფონდის“ მიერ საქართველოს დატოვებას მოითხოვდა.-"თუ ჩვენი ულტიმატუმი არ შესრულდება, ისევე დაინგრევა ეს ოფისი, როგორც წმინდა ნინომ დაანგრია არმაზის კერპები" - თქვა ბრეგაძემ

სიტყვით გამოსვლისას და ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს "მართლმადიდებლობასთან და ქართველობასთან ბრძოლის სიმბოლო" უწოდა. ქართული მარშის ულტიმატუმია, "ბოროტების ბუდე მოიშალოს (Tabula. 2020)

მარში აქტიურად გამოდის რეფერენდუმების ჩატარების მოთხოვნით საქართველოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ჩატარების საკითხზე. მარშის ლიდერის, სანდრო ბრეგაძის განცხადებით: „ქართველმა ხალხმა უნდა განსაზღვროს თავისი ბედი და მომავალი, და მათ ნაცვლად არ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება გაყიდულმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც ამერიკელმა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა იყიდა. „ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ნების გასარკვევად ყველაზე ეფექტური გზა არის რეფერენდუმის ჩატარება და საქართველოს ნეიტრალიტეტის სტატუსის განსაზღვრა“ - განაცხადა სანდრო ბრეგაძემ. (Patrioti. 2022)

ქართული მარში პირადობის მოწმობაში ეთნიკურობის გრაფის აღდგენისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კანონმდებლობის მიღების ინიციატივით გამოდიოდა. (Tabula . 2020)

„კონსერვატიული მოძრაობა“

კონსერვატიული მოძრაობის მთავარი პოლიტიკური სამიზნეები დასავლური საერთაშორისო აქტორები არიან. პარტიის ლიდერები: გიორგი ქარდავა, ირაკლი მარტინენკო, ზურაბ მახარაძე ეყრდნობოდნენ რა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის განცხადებას-„საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი პირთა გარკვეული ჯგუფი, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა“.(Civil. 2023) აანონსებდნენ „ანტი-მაიდანის“ მოძრაობას რომელსაც საქართველო გარეშე(აშკარად დასავლური) ჩარევისგან უნდა დაეცვა. 7 ოქტომბრს, რუსთავში გამართულ შეხვედრაზე კი ირაკლი მარტინენკომ განაცხადა: ვუპირისპირდებით დასავლეთს.

ისინი აორგანიზებენ გადატრიალებას, რათა მათმა აგენტებმა ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება და ომში ჩართონ ჩვენი ქვეყანა.“.(Civil. 2023)

> რაც შეეხება პარტიის დაპირისპირებას ქვეყნის მთავრობას, ოპოზიციურ პარტიებსა და არასამთავრობო სექტორთან. მათი განხცხადებებიდან არ ჩანს, რომ ისინი ზემოთ ჩამოთვლილთ ელიტად მოიაზრებენ, არამედ ჩანს ის, რომ მათთან ანტაგონიზმი გამოწვეულია ზემოთ ხსენებულთა კავშირით გარეშე ძალებთან. მაგ. სახალხო დამცველის ოფისთან გამართულ აქციაზე(ითხოვდნენ 5 ივლისის ძალადობის შემდეგ დაკავებულთა განთავისუფლებას) ზურაბ მახარაძე და კოკა მორგოშია აღნიშნავდნენ, რომ“ დაკავებულები ამერიკისა და ევროკავშირის ელჩებისა და ნინო ლომჯარიას პირადი პატიმრები არიან“ (Mythdetector .2021)

„ლეიბორისტული პარტია“

ლეიბორისტული პარტია პოპულიზმთან ხშირადაა ასოცირებული.

მათ განცხადებებში ხშირად შევხვდებით მოწოდებებს სახალხო ნების უზენაესობის დაცვის შესახებ. ამავდროულად ისინი „ქართულ ოცნებასაც და“ ნაციონალურ მოძრაბასაც“ ორ მმართველ პარტიას, ხალხის წინააღმდეგ მოქმედებებში ადანაშაულებენ. „ისინი ხალხისთვის არ მოსულან, მათ უნდათ მხოლოდ ქართველი ხალხის ფული, ქართველი ხალხი ღატაკი და გაუბედურებული, რომ ადვილად იყიდონ ისე, როგორც კარტოფილით და შაქრით მოინდომეს ქართველი ხალხის ყიდვა. (Newposts .2018). ლეიბორისტულმა პარტიამ არა ერთხელ მოითხოვა ბიძინა ივანიშვილის, როგორც ოლიგარქი მმართველის დაპატიმრებაც. პარტიის ლიდერი, შალვა ნათელაშვილი მის წინააღმდეგ ჟენევის კონვენციის ამოქმედებასაც მოითხოვდა.(Tvpirveli. 2022)

ნათელაშვილი საერთაშორისო აქტორებთან დაპირისპირებასაც არ ერიდებოდა.“ ევროკავშირს უყვარს და მოსწონს ფულიანი ოლიგარქია საქართველოში“ - აცხადებდა შალვა ნათელაშვილი და ევროკავშირის პოლიტიკურ ელიტას ქრთამების აღებასა და პუტინის ოლიგარქებისთვის ხელშეწყობაში ადანაშაულებდა. (Ipress. 2021)

საინტერესოა შალვა ნათელაშვილის შემდეგი განცხადებაც - „ აშშ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილით ჩაანაცვლებს. ”ვაშინგტონმა, რომლის კოლონიაც საქართველოა, მიიღო ზომები სამომავლოდ ხელისუფლებაში ეროვნული ძალებისა და უპირველესად, ლეიბორისტული პარტიის მოსვლის არდასაშვებად” (Radiotavisupleba . 2011) . პარტია 13 წლის წინაც მსგავს რიტორიკას იყენებდა და შეგვიძლი ვთქვათ, რომ სტაბილურად პოპულისტურ რიტორიკას ატარებს.

დასკვნა

თავდაპირველად მიმოხილულ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებული იყო თავად პოპულიზმის ცნებაზე. მის შინაარსზე, იმაზე თუ რა გავლენა აქვს მას პოლიტიკურ პროცესებზე და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ის ზიანის ან სარგებლის მომტანი საზოგადოებისათვის. განხილულ ავტორებთან ძირითადად ორი თეზისი წარმოიშვა. პირველი- პოპულიზმი როდესაც მას ოპოზიცია იყენებს სასარგებლოა დემოკრატიული პროცესებისათვის, ხოლო მაშინ როდესაც მას მთავრობა მიმართავს, საზოგადოებაა ზარალდება. მეორე- ევროპულ სახელმწიფოებში არსებული პარტიული პოპულიზმი აღმავლობის სტადიაზეა, განსაკუთრებული წარმატებით კი კულტურული პოპულიზმი სარგებლობს. პირველი თეზისი, როგორც ძირითად ნაწილში მოყვანილი მაგალითებიდან გამოჩნდა, ქართულ რეალობას არ შეესაბამება. პოპულიზმს, როგორც დადებით ფაქტორს, არც ქართული პოზიცია და არც ოპოზიცია არ იყენებს, პირიქით, ორივე მათგანის შემთხვევაში ის გამოყენებულია როგორც საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენისა და საკუთარი ინტერესების გატარების საშუალება. რაც შეეხება მეორე თეზისს კულტურული პოპულიზმის აღმავლობის შესახებ, საქართველოში ამგვარი ტენდენციები გაძლიერებულია, ამაზე მეტყველებს ისეთი პარტიების წარმოშობა და

წარმატება როგორებიცაა: „პატრიოტთა ალიანსი“, „ქართული მარში“, „ ქართული იდეა“, და „კონსერვატიული მოძრაობა“

პოპულიზმი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების აუცილებელ მახასიათებლად იქცა. ამის დასტურია ქართულ პოლიტიკურ პარტიათა მოქმედებები და განცხადებები. მართალია, ზოგიერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს პოპულიზმის კლასიკურ განმარტების კრიტერიუმებს, თუმცა პოპულიზმს როგორც „დისკურსის სტილს“ და ოპორტუნისტულ სტრატეგიას ყოველი მათგანი იყენებს. „ ყველაფერი პოპულიზმზე არ დაიყვანება, მათ აქვთ ალბათ რაღაც სხვა მიზნებიც ხალხის გულის მოგების გარდა, მაგრამ რაკი პოპულიზმის ხშირად ახასიათებენ როგორც რიტორიკის, დისკურსის ტიპს ვიდრე იდეოლოგიას შეგვიძლია ვთქვათ რომ ხალხთან ურთიერთობაში, მხარდაჭერის მოპოვების მეთოდების მიხედვით ძირითადი პარტიები პოპულისტურია“ (ნოდია. გ. პერსონალური ინტერვიუ. 12.01.2024). თუ ყოველი პარტია გამარჯვების სტრატეგიად პოპულიზმს სახავს, ლოგიკურია იქნება მსჯელობა, რომ პოპულიზმი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების წარმმართველი მთავარი ძალაა.

ბიბლიოგრაფია

Kyle. J , Gultchin. L . Populism in power around the world. (2018. 11 Dec) . ბოლო ვიზიტი 05.11.22 https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3283962

Mansbridge. J , Macedo. S. Populism and democratic theory. *Annual review of law and social science.* (2019). ბოლოს ნანახი 05.11.22

https://scholar.google.com/scholar?hl=en&as_sdt=0%2C5&q=populism+and+democratic+theory&oq=populism+and+demo#d=gs_qabs&t=1667724254516&u=%23p%3DL5pwDuM7OeoJ

Muddle. C . Three decades of populist radical right parties in western Europe. So what?. *European journal of political research 1-9. (2013).* ბოლო ვიზიტი 05.11.22 https://ejpr.onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1475-6765.2012.02065.x

Huber. A. R. Schimpf H. C Friend or foe? Testing the influence of populism on democratic quality in Latin America. *Political Studies 64 (4), 872-889, 2016* ბოლო ვიზიტი 05.11.22

https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1111/1467-9248.12219

Scheppele L. K . The opportunism of populists and the defense of constitutional liberalism

German Law Journal 20 (3), 314-331, 2019. ბოლო ვიზიტი 05.11.22 https://www.cambridge.org/core/journals/german-law-journal/article/opportunism-of-populists-and-the-defense-of-constitutional-liberalism/687EC99BB43AB8AE88FAA42ED4D83DB0

Guasti P. bustikova L. populism (26 .02. 2020). https://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780199756223/obo-9780199756223-0300.xml

Mudde. C and Kaltwasser. C. R(2012. December 17) Exclusionary vs. Inclusionary Populism: Comparing Contemporary Europe and Latin America. *Government and opposition, vol.* 48, no.2, pp. 147-174.

Kaltwasser. C. R, Taggart. P, Espejo. P. O, Ostiguy.(2017) The oxford handbook of populism. *Oxford univercity press*

Gordon. N, Bonikowski. B . Varieties of Populism: Literature Review and Research Agenda. *Weatherhead center for international affairs. Harvard univercity .* No 13-0004

Aprasidze.D, Siroky. S. D(2020) Technocratic Populism in Hybrid Regimes: Georgia on My Mind and in My Pocket. *Politics and Governance .* Volume 8, Issue 4, Pages 580–589. DOI: 10.17645/pag.v8i4.3370

Minkenberg. M. (2000). *The Radical Right in Postsocialist Central and Eastern europe: Comparative Observations and Interpretations.* გვ 335-362

Buštíková . L, Guasti. P (2019) *The State as a Firm: Understanding the Autocratic Roots of Technocratic Populism.* East European Politics and Societies and Cultures. Volume 33 Number 2, May 2019 302–330. *https://doi.org/10.1177/0888325418791723journals.sagepub.com/home/eep*

Kaltwasser. C. R, Taggart. P, Espejo. P. O, Ostiguy .P (2017) *Populism. An Overview of the concept and a state of the art.*

Rydgren. J (2017) *Radical right-wing parties in Europe ,What's populism got to do with it? John Benjamins Publishing Company* 486-496

სილაგაძე. გ (2020 თებერვალი)ვინ (არ) არის პოპულისტი საქართველოში?

ფართოდ გავრცელებულ ტერმინში გარკვევა. *საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.* გამოცემა #34

კუნჭულია.ლ (2023, 6 აპრილი). *"ოცნება" და მისი მოკავშირეები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წინააღმდეგ.* radiotavisupleba. https://www.radiotavisupleba.ge/amp/%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-

%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92/32352735.html

Tvpirveli (2021, 2 აპრილი) *"ოცნება ევროპარლამენტარის წინააღმდეგ-კრამონი საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს.* https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/35724-otsneba-evroparlamentaris-tsinaagmdeg-kramoni-saqartvelos-tsinaagmdeg-shetqmulebashi

ბოგვერაძე. მ (2020. 16 ნოემბერი) "ანტიდასავლური გზავნილები და დეზინფორმაცია-MDF-ის წინასაარჩევნო მონიტორინგი. Netgazeti . https://netgazeti.ge/news/498780/

Tvpirveli. (2023.29 ოქტომბერი). *ოლიგარქიული რეჟიმის დამარცხების გზები-ნიკა მელია ქუთაისში ამომრჩეველს ხვდება.* https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/51974-oligarqiuli-rejimis-damartskhebis-gzebi-nika-melia-qutaisshi-amomrchevels-k

Formulanews (2023, 14 აპრილი) *ენმ:ვგმობთ ოცნების ორგანიზებული დაჯგუფების მიერ eu-ის დროშის ჩამოხსნას და დაწვას.* https://formulanews.ge/News/%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9B:_%E1%83%95%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%97_%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0_EU-%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1/87032

Tvpirveli (2023,17 სექტემბერი). *ოცნება ოლიგარქიასა და ხალხის გაღარიბებაშია მხილებული-გიორგი ვაშაძე.* https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/47816-otsneba-oligarqiasa-da-khalkhis-gagaribebashia-mkhilebuli-giorgi-vashadze

Cnews. (2024, 12 იანვარი). *რეჟიმი მთლიანად მოწყობილია ოლიგარქ ივანიშვილის ძალაუფლების შენარჩუნებაზე-გიგა ბოკერია.*https://cnews.ge/home/news_description/73253/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90

კვირიკაშვილი. ს (2022.08.04) *დეზინფორმაციული"ობიექტივი" და მისი პრორუსი"პატრიოტები".* Gmc.org https://gmc.org.ge/ka/news/130

Tabula (2020, 16 ნოემბერი)*157 ანტიდასავლური კომენტარიდან ყველაზე მეტი პატრიოტთა ალიანსმა გააკეთა-MDF-ის ანგარიში*

https://tabula.ge/ge/news/657275-157-antidasavluri-komentaridan-qvelaze-meti

1tv. (2020, 26 იანვარი) *"პატრიოტთა ალიანსი" თბილისში ახალ კამპანიას იწყებს.* https://1tv.ge/news/patriotta-aliansi-tbilisshi-akhal-kampanias-iwyebs/

1tv. (2018, 27 დეკემბერი) *ირმა ინაშვილმა პარლამენტის სხდომაზე რეზოლუცია წარადგინა რომელიც სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადებას გულისხმობს.* https://1tv.ge/news/irma-inashvilma-parlamentis-

skhdomaze-rezolucia-waradgina-romelic-saakashvil-bokerias-mmartvelobis-danashaulebriv-redjimad-gamockhadebas-guliskhmobs/

ცქიფურიშვილი. ნ (2021, 4 იანვარი) *რაც ითხოვეს, ის მიიღეს, დასჯაზე ლაპარაკი არაადეკვატურია-ვოლსკი "პატრიოტთა ალიანსზე".* Netgazeti. https://netgazeti.ge/news/510311/.

On.ge (2017, 17 სექტემბერი). *პატრიოტთა ალიანსმა „ დემოკრატიის დასაცავად" ქართული ოცნების წინააღმდეგ აქცია დაიწყო.* https://on.ge/story/14353-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D

Tabula (2017, 4 სექტემბერი) *ინაშვილი: უნდა შეიქმნას უხუცესთა საბჭო.* https://tabula.ge/ge/news/600039-inashvili-unda-sheikmnas-ukhutsesta-sabcho

იაგანაშვილი . გ (2019, 1 ოქტომბერი) *„პატრიოტთა ალიანსის" ტყუილი, თითქოს საქართველო 200 000 სირიელ ლტოლვილს მიიღებს.* mythdetector

https://mythdetector.ge/ka/patriottha-aliansis-tqhuili-thithqos-saqarthvelo-200-athas-siriel-ltolvils-miighebs/

Interpressnews (2023, 8 მაისი). *დავით ჭიჭინაძე- მთავრობამ ადამიანების ყველაზე დიდი ძარცვა დაიწყო* https://www.interpressnews.ge/ka/article/754871-davit-chichinaze-mtavrobam-adamianebis-qvelaze-didi-zarcva-daicqo/

Damoukidebloba.ge (2020,29 ოქტომბერი) http://damoukidebloba.ge/c/news/Antiwestern_political_party_advertisements

Geworld. (2021,8 ივნისი) *ლევან ჩაჩუა: გეიაღლუმი იქნება იმის ნიშანი, რომ საქართველოში მყარდება ლგბტ დიქტატურა და ქვეყანა განაგრძობს ცხოვრებას ცისფერი კომისრების მიერ ნაკარნახევი დღის წესრიგით* https://geworld.ge/ge/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%A3%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%A5/

ქევანიშვილი. ე (2019, 26 სექტემბერი) *ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი და საქართველო: მზარდი საფრთხე, რომელსაც ხელისუფლება არ აღიარებს.* Radiotavisupleba. https://www.google.com/amp/s/www.radiotavisupleba.ge/amp/30185116.html

Radiotavisupleba(2020, 1 ნოემბერი). „ ქართული მარში“ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით იწყებს „ოცნების“ ოფისის პიკეტირებას. https://www.google.com/amp/s/www.radiotavisupleba.ge/amp/30924321.html

Tabula. (2020, 30 ივლისი) *ისე დაინგრევა, როგორც წმინდა ნინომ დაანგრია არმაზის კერპები-მარშელები სოროსის ფონდთან.* https://tabula.ge/ge/news/650723-ise-daingreva-rogorts-cminda-ninom-daangria

Patrioti(2022, 24 მარტი) *ქართული მარში ითხოვს რეფერენდუმის ჩატარებას“ საქართველოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის* შესახებ. http://patrioti-tv.ge/slide/719--.html

1tv. (2020, 9 ოქტომბერი)*პარტიამ „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“ „ ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისთან აქცია გამართა* https://1tv.ge/news/modzraobam-qartuli-marshi-nacionaluri-modzraobis-centralur-ofistan-gamarta/

Civil.ge (2023, 1 ნოემბერი) *რას წარმოადგენს მოძრაობა „ ანტი-მაიდანი?* https://www.google.com/amp/s/civil.ge/ka/archives/566694/amp

Mythdetector (2021, 23 დეკემბერი) *ვანდალიზმი კონსერვატიული პარტიის სახელით, სახალხო დამცველის, აშშ-სა და ევროკავშირის წინააღმდეგ* https://mythdetector.ge/ka/vandalizmi-konservatiuli-partiis-sakhelith-sakhalkho-damtsvelis-ashsh-s-da-evrokavshiris-tsinaaghmdeg/

Newposts (2018, 2 დეკემბერი) *ჩვენ, "ლეიბორისტული პარტია" ბოლომდე ვიდგებით ჩვენი ხალხის გვერდით" - გაერთიანებული ოპოზიციის აქციაზე ლეიბორისტებიც მივიდნენ. .* https://old.newposts.ge/?newsid=191193

Tvpirveli (2022, 1 სექტემბერი) *დააპატიმრეთ ოლიგარქი - შალვა ნათელაშვილი ცივილიზებულ სამყაროს* https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/24487-daapatimret-oligarqi-shalva-natelashvili-tsivilizebul-samkaros

ipress. Ge (2021, 22 აპრილი) შალვა ნათელაშვილი: ევროკავშირს უყვარს და მოსწონს ფულიანი ოლიგარქია საქართველოში https://ipress.ge/news/politika/shalva-nathelashvili-evrokavshirs-uqhvars-da-mostsons-phuliani-oligarqia-saqarthveloshi

Radiotavisupleba (2011, 17 ოქტომბერი) *შალვა ნათელაშვილი: აშშ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილით ჩაანაცვლებს* https://www.google.com/amp/s/www.radiotavisupleba.ge/amp/24362248.html

დანართი

სიღრმისეული ინტერვიუ

რესპონდენტები:

Dr. David Matsaberidze
Associate Professor, PhD
Department of International Relations
Faculty of Social and Political Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გია ნოდია-ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური უნივერსიტეტის თავმჯდომარე

გიორგი გოგსაძე-პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

1. არსებობს პოპულიზმის როგორც იდეოლოგიის და როგორც ოპორტუნისტული სტრატეგიის გააზრება. თქვენი აზრით წამყვანი პოლიტიკური პარტიები საქართველოში რომელ მათგანს ანიჭებენ უპირატესობას?

2. თუ წამყვანი პოლიტ პარტიების უმეტესობა ოპორტუნისტია და ყოველი მათგანი ერთსა და იმავე სტრატეგიას იყენებს, როგორ უნდა გავარჩიოთ პოპულისტი არა პოპულისტისაგან?

3. შესაძლებელია თუ არა საუბრობდე ხალხის სახელით და არ აკრიტიკებდე ელიტას ან პირიქით აკრიტიკებდე ელიტას და არ საუბრობდე ხალხის სახელით? ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გვხდება ისეთი აქტორი ვინც მხოლოდ ერთ მათგანს იყენებს?

4. სიტყვა პოპულისტის ხსენებისას რომელი პარტიები ან ლიდერები მოგდით გონებაში? რომელ მათგან მიიჩნევდით წმინდად პოპულისტურად და რომლებს უბრალოდ პოპულისტური სტრატეგიის გამტარებლებად?

5. შეგვიძლია თუ არა დღევანდელი პოზიციისა და ოპოზიციის დაპირისპირება ელიტების დაპირისპირების ჭრილში გავიაზროთ? ორივე მათგანი ხალხის სახელით საუბრობს და ებრძვის არსებულ ან ყოფილ ესტაბლიშმენტს. თუ ორივე მათგანს ელიტად მივიჩნევთ, ეს გარდაუვალს ხომ არ ხდის პოპულიზმის არსებობას.

6. პოპულიზმი შესაძლებელია გავიაზროთ როგორც ანტი პლურალიზმი. პოპულისტებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ისინი გამოხატავენ სახალხო ნებას და მოწინააღმდეგე მხარეს არ აქვს მორალური უფლება იყოს მართვის სადავეებთან, ის სრულიად უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკას. ამ კუთხით შეგვიძლია თუ არა პარალელი გავავლოთ წართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის დაპირისპირებასთან?

7. გახსენდებათ თუ არა კულტურული ფაქტორები რაც საქართველოში პოპულიზმის წარმატებას განაპირობებდა?

8. შეგვიძლია თუ არა პოპულიზმის დადებით შინაარსზე ვისაუბროთ და არის თუ არა შესაძლებელი მან დადებითი გავლენა მოახდინოს ქართულ პოლიტიკურ სივრცეზე?

9. რომელ პარტიულ ლიდერებს მიიჩნევდით პოპულისტ ლიდერებად?

10. შეგვიძლია თუ არა მთავარი ოპოზიციური პარტიის თანამედროვე ლიდერებს ნ. მელიას, ლევან ხაბეიშვილს პოპულისტები ვუწოდოთ?

11. ელიტების თემას რომ დავუბრუნდეთ, პოპულისტებისთვის არსებობს როგორც შიდა ისე გარე/უცხოური ელიტა. მაგალითად პატრიოტთა ალიანსი, ქართული მარში, კონსერვატორული მოძრაობა აშკარად ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის გავლენების გავრცელებას საქართველოში და მათ უცხოურ ელიტად მიიჩნევენ. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ იგივე ქართულ ოცნებაზე, როდესაც ისინი უპირისპირდებიან აშშ-ის ელჩს ან ევროკავშირის წარმომადგენლებს? აღიქვამენ თუ არა მათ უცხოურ ელიტად რომელიც ცდილობს ჩაერიოს ქვეყნის შიდა საქმიანობაში და თუ აღიქვამენ არის თუ არა ეს პოპულიზმი?

12. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია თუ არა პოლიტიკური პარტიები საქართველოში ვუწოდოთ პოპულისტური და თუ ისინი პოპულიზმს როგორც სტრატეგიას მიმართავენ?